# ერი

№ 24

კვირა 18 მკათათვე



**შინაარსი** ვასილ ნიკოლოზის-ძე ჩერქეზიშვილი; მიწის მფლობელობა საქართველოში—**სიმ. ავნლიანისა**; მოგონებანი **სოფ. მგალობლიშვილისა**; ეროვნული მოძრაობა—**გ. გვაზავასი**; სიკვდილით დასჯილი—**ივ. ელიაშვილისა**; შეთქმულება—**ა. შანშიაშვილისა**; ინგლისის სახელმწიფო სამართლის საფუძველნი—**ივ. ზ—ლისა.**



1910 წ. საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი 1910 წ.


## † ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილი

ტფილისის ქალაქის თვითმართველობიდან დროთა ბრუნვამ თითქმის გამოგვაძევა. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ქართველობა ხმოსნებადაც ვერ გადის და თუ ორიოდე პირს ირჩევენ, ჩვეულებრივ უპიროვნო ადამიანს ეძებენ, რომელიც ვერც მტერს დააკლებს და ვერც მოყვარეს შემატებს რამეს. არსებითად ქალაქის თვითმართველობა ერთი დიდი საზოგადოებრივი მეურნეობაა და მისი ჩარხის ასე თუ ისე ტრიალს დიდი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთათვის. რომ ეს ჩარხი დღეს ღარიბ ხალხისთვის და განსაკუთრებით ქართველობისთვის უკუღმა ტრიალებს, ეს ყველასათვის ცხადია, ვისაც კი ძალა შესწევს გაარჩიოს მაღალ ფრაზების ბურუსში გახვეული სამეურნეო საქმიანობა

აშკარაა, ერთს და ორს ადამიანს არ ძალუძს შესცვალოს ქალაქის მართველობის ხასიათი, მაგრამ ვასილ ჩერქეზიშვილი ისეთი ძლიერი ზნეობრივი პიროვნება იყო, რომ აქაც კი თავისი კვალი დააჩნია და მისი მოქმედება იყო ერთნაირი შესწორება, კორექტივი ქალაქის მართველთა მოქმედების ცალმხრივობაში.

როგორც პიროვნება, ვასილ ნიკოლოზის ძე იყო რაინდი, ზნეობრივად ფაქიზი, მტკიცე, ბუნებით დემოკრატი, ძლიერი ძლიერთან, ლმობიერი და შემბრალებელი სუსტთან, განურჩევლად მომპყრობი ყოველი მოქალაქისა. მასთან ის იყო იშვიათი ადამიანი ჩვენში, როგორც მუშაკი, შესვენება არ იცოდა, დღე და ღამეს ასწორებდა, მუდამ საქმიანობდა, ხოლო ეს მისი საქმიანობა მიმდინარეობდა ჩუმად, წყნარად, უჩინრად, თითქო ეს ყველაფერი ასე უნდა იყოსო. და სხვებიც მისი შემცქერალნი, მის ზნეობრივ სიფაქიზეში, მის თავდადებაში, მის მოქალაქობრივ სიმტკიცეში ჰპოებდენ მაგალითს და გამხნევებას!

ცხოვრების ტალღისაგან გამოსროლილი ქალაქის თავად სწორედ მაშინ, როცა ყველაფერი რყევაში იყო, როცა ქალაქის თვითმართველობას ცეცხლი ეკიდებოდა, განსვენებული საოცარი მოხერხებით და თავგანწირულ პირდაპირობით ამ დროსაც იცავდა ქალაქს და მის თვითმართველობას მასზე მოტანილ ერიშისაგან და თუ არ ის თავისი დამამშვიდებელი და შეუდრეკელი ხასიათით, ვინ იცის, კიდევ რამდენი უბედურება დატრიალდებოდა ჩვენში. მისი ბიბლიური, მშვიდი და სპეტაკი სახე, მისი ზნეობრივი სხივოსნობა ერთნაირი გამამხნევებელი ძალა იყო სუსტისა და დაჩაგრულისთვის და როცა მას უცქეროდი, აუცილებლივ იმედი გულს გიმხნევებდა უკეთეს მომავლის მოლოდინში. სწორედ რომ დიდი დანაკლისია ჩვენთვის ასეთი პიროვნების დაკარგვა, და ამიტომაც მისი გარდაცვალება რწფელ მწუხარებას იწვევს მთელ ხალხში.

## მიწის მფლობელობა საქართველოში

არსად არ არის ისე არეულ-დარეული მიწის მფლობელობის საქმე, როგორც საქართველოში. ჩვენი ცოდნა და წარმოდგენა დღევანდელ მიწის მფლობელობის ფორმების შესახებ საქართველოში ძლიერ ჩაკლები და ძლიერ დაშორებულია საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობაზედ. რა ნაირად უნდა მოეწყოს მიწის მფლობელობის საქმე, თუ არ გვეცოდინება, რა და რა გვარი ფორმები მიწის მფლობელობისა არსებობს ჩვენ ქვეყანაში. პრაქტიკული კითხვის გადაწყვეტა ყველასათვის სასარგებლოდ მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც დაწვრილებით შეისწავლით მას. ძლიერ დიდი საქმე იკისრა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, რომელმაც იდვა თავს შესაფერი მასალების შეკრება და გამოცემა. მალე გვექნება ძლიერ ძვირფასი მასალა, რომელიც ბევრს საინტერესოს და საყურადღებოს გვაცნობებს. მაგრამ საქართველოს შეადგენს

არა მარტო თფილისის გუბერნია, დანარჩენი ნაწილის არაფერი არ ვიცით, ე. ი. დანარჩენის შესახებ უნდა ვისარგებლოთ ძლიერ ძველი ცნობებით, რომლებიც არ შეესაბამებიან ცხოვრებას. მაშასადამე უსაჭიროესი საქმე დღეს ჩვენთვის არის დაწვრილებით გამოვიკვლიოთ, რა გვარი ფორმები მიწის მფლობელობისა, მიწისე ქსპლოატაციისა, არის ჩვენში. მიწის მფლობელობის ფორმების გამოკვლევას ორ ნაირი მნიშვნელობა აქვს; ერთი ისა, რომ შევისწავლით ჩვენს ქვეყანას და მომზადებულნი ვიქნებით ცხოვრების საჭირ-ბოროტო კითხვების გადასაწყვეტად; მეორე—ასეთი გამოკვლევით დიდ სამსახურს გაუწევთ მეცნიერებას. საქართველოში არის ისეთი ადგილები, მაგალითად, ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში, სადაც დღემდე გადარჩენილა უძველესი ფორმები მიწის მფლობელობისა და მიწის სარგებლობისა; ალაგ-ალაგ არის ისეთი ცოცხალი ფორმები, რომლებსაც ჩვენ მართალია ვიცნობთ, მაგრამ სხვა და სხვა გვარი აღწერილობის შემწეობით. კულტურას არ მიუღწევია ასეთ ადგილამდე და ამის შედეგი იყო უძველესი ნაშთების გადარჩენა. თუ რა დიდებული მნიშვნელობა აქვს ასეთ ნაშთებს, ამაზე ლაპარაკი მეტი არის (იხ. შრომები ბახოვენის, მ. ლენანის, სპენსერის და გილინის, ფრაზერის, კოვალევსკის, ივანოვსკის და სხვ.).

განსაკუთრებით ჩვენში არსებულ მიწის ფლობელობის და სარგებლობის ფორმებს ყურადღება მიაქციეს მ. კოვალევსკიმ, ეგიაზაროვმა, ამ 20-25 წლ. და საკმარისად ნათლათ დაასურათეს იგი. ამ ბოლო დროს ჩვენში მიწის მფლობელობას ყური ათხოვა ახალგაზრდა მეცნიერმა ა. კაუფმანმა (იხ. Русская Община), მაგრამ თავის შრომაში იგი სარგებლობს კოვალევსკის და ეგიაზაროვის ნაწერით. ა. კაუფმანს უნდოდა გამოეკვლია, თუ რა მდგომარეობაშია რუსეთში სათემო მიწის მფლობელობა. მან დაამტკიცა, რომ სათემო მიწის მფლობელობა რუსეთში არ არის ერთსა და იმავე მდგომარეობაში. ციმბირის გუბერნიებში ეხლა იბადება და ფეხს იკიდებს სათემო მიწის მფლობელობა; ცენტრის გუბერნიებში ადამიანს დიდი ბრძოლა სჭირდება ბუნებასთან, მძიმე ჰავის, სუსხიანი ზამთარი, მოკლე ზაფხული, მოუდგომელი, ტყიანი და ჭაობიანი ადგილები უძნელებს აქ გადასახლებულთ არსებობისათვის ბრძოლას და ისინიც იძულებულნი არიან შეეკავშირდნენ, შეერთდნენ და ისე იმუშაონ, იშოვონ ცხოვრების საშუალება. სათემო მიწის მფლობელობის განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე თავისუფალი უპატრონო დიდ მანძილზედ გადაშლილი მიწები. კავკასიაში და კერძოთ საქართველოში, ა. კაუფმანმა სულ სხვა გვარი სურათი ნახა. აქ სათემო მიწის მფლობელობა ქრება და იკარგება, ალაგ-ალაგ ისე გამქრალა, რომ ნიშნებიც აღარ არის. მაშასადამე, ცოცხალი საბუთების შემწეობით შესაძლებელია შევისწავლოთ და დავასურათოთ, თუ რა ნაირად იბადება და რა ძალები ამოძრავებენ და სულს უდგამენ სათემო მიწის მფლობელობას, აგრეთვე თუ რა მიზეზების ზედ გავლენით ქრება და იკარგება სათემო მიწის მფლობელობა, და ადგილს უთმობს კერძო, გადაკვეთილ მიწის მფლობელობას.

რაგვარი მიწის ფლობელობა არის უფრო გავრცელებული ჩვენში? საქართველო ორ ნაწილად არის გაყოფილი. ქუთაისის გუბერნიაში გამქრალა სათემო მიწის მფლობელობა; შენახულა სულ რამდენიმე ადგილას. მხოლოდ თფილისის გუბერნიაში ჯერ-ჯერობით კიდევ კარგად არის გავრცელებული სათემო მიწის მფლობელობა. მაგრამ კავკასია და საქართველო ძლიერის სიჩქარით მიესწრაფება ამ გვარი მიწის მფლობელობის გაუქმებისაკენ. საქართველო ერთის სიტყვით იმ ხანაში არის შესული, რომელსაც უწოდებენ სათემო მფლობელობის დარღვევის ხანას. სადაც შენახულა საქართველოში სათემო მიწის მფლობელობა, ყველგან ასეთ მდგომარეობაშია სახნავი და სათესი მიწები, უფრო ხშირად საბალახო ადგილები და ტყე. მხოლოდ ვენახები, ბაღები, ბოსტნები, ე. ი. ისეთი დამუშავებული მიწები, რომელზედაც დიდი შრომა არის დაკარგული და დიდ საფას წარმოადგენს, კერძო კუთვნილებას წარმოადგენს. ასე იყო არა მარტო ჩვენში, არამედ ყველგან. რა თქმა უნდა, რომ ასეთ მგომარეობაში არის სამოსახლო ადგილებიც. საერთოდ უნდა აღვიაროთ, რომ ტფილისის გუბერნიაში უფრო იყო ფეხმოკიდებული სათემო მიწის მფლობელობა, ვიდრე ქუთაისისაში. ქუთაისის გუბერნია უფრო მთიანი ადგილია, სახნავ-სათესი ხშირად მთის დაშვებულ ადგილზედ არის, ხშირად ძლიერ მიუვალ ადგილზედ კლდე-ღრეებში. ასეთი ადგილები ბევრ შრომას ითხოვენ და საერთო დაყოფის დროს არ შეადგენდენ ერთ მთელს, განუყოფელს. მხოლოდ ტფილისის გუბერნია, უფრო ვაკე, სწორი, ხელს უწყობდა საერთო, სათემო მფლობელობას და საერთო მდგომარეობით მიწების დაყოფას. მივმართოთ მაგალითებს. რაჭის და შორაპნის მაზრებში კერძო, გადაკვეთილი მიწის მფლობელობა არის გავრცელებული. სამოსახლო, მიწა, სახნავ-სათესი ყანები, ვენახები კერძო კუთვნილებას წარმოადგენს, სათემო მიწის მფლობელობა შენახულა რაჭის მაზრაში, რამდენიმე სოფელში, მაგრამ იქაც ირყევა და ინგრევა, აქ მხოლოდ ზოგიერთი ყანები შეადგენს სათემო კუთვნილებას, აქ შენახულა მიწის საერთოდ დამუშავება, მოსავალს იყოფენ იმის და მიხედვით, თუ ვინ რა მონაწილეობა მიიღო საერთო მუშაობაში, სათემო კუთვნილებას წარმოადგენს საბალახო ადგილები. მართალია, მცირეოდენად შენახულა სათემო მიწის მფლობელობა, მაგრამ დიდ ხანს იგი ვერ გასტანს, რადგან სათემო კუთვნილების მონაწილენი დარწმუნებულნი არიან, რომ სათემო კუთ-

ვნილება უეჭველად უნდა დაიყოს და დანაწილდეს. ქუთაისის მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გამეფებულია კერძო გადაკვეთილი მიწის მფლობელობა, მხოლოდ სამ სოფელში არის კიდევ შენახული სათემო მიწის მფლობელობა ზოგიერთი მიწებისა, მხოლოდ გლეხები ცდილობენ გამოიყონ თავისი წილი და მიისაკუთრონ. ზუგდიდის ღ ოზურგეთის მაზრაში კი ყველგან კერძო, გადაკვეთილი მიწის ფლობელობაა და აღარსად არ არის სათემო მიწის მფლობელობა. ტფილისის გუბერნიაში უფრო დიდი ადგილი უჭირავს სათემო მიწის მფლობელობას. თელავის, ტფილისის, უფრო თიანეთის ღ დუშეთის მაზრაში კარგად არის შენახული სათემო მიწის ფლობელობა, მიწის დაყოფა მონაწილეთა შორის დროგამოშვებით. მხოლოდ თუშებში და ხევსურებში შენახულია უძველესი სახის ნათესაობრივი სათემო ცხოვრება. გორის მაზრაში სათემო მიწის მფლობელობასთან ერთად არის კერძო, გადაკვეთილი კუთვნილება. აქ მოყვანილი მოკლე ცნობები ეკუთვნის წეს-წყობილებას ამ 25 წლ. წინეთ. ხოლო უფრო ახლო დროის ცნობები არა გვაქვს. 25 წლის განმავლობაში, რასაკვირველია, სათემო კუთვნილების დარღვევა და მის ადგილზედ კერძო კუთვნილების გამაგრება უფრო წაიწევდა წინ.

ვრცლად კითხვას ვერ განვმარტავთ უადგილობისა გამო. მხოლოდ არ შემიძლია არ აღვნიშნო, თუ რა მიზეზების ძალით ირღვევა სათემო კუთვნილება. მიზეზები ძლიერ ბევრია ღ დამოკიდებული ადგილობრივ პირობებზედ. აღვნიშნავთ მხოლოდ უმთავრესთ. უპირველეს ყოვლისა ხალხის გამრავლება და საზოგადო მიწის ფონდის დამცირება ხელს უშლის სათემო მიწის მფლობელობას. ამას გარდა სათემო კუთვნილებიდან გამოირიცხებიან შემოღობილი ადგილები, როგორც ვენახები, ბაღები, და სხვა გვარი კულტურული ადგილები; ასეთი შემოღობილი ადგილები, რომელნიც გადასულან კერძო მესაკუთრეთა ხელში ღ გამხდარა კერძო საკუთრებად, საძირკველს უნგრევენ სათემო კუთვნილებას; სათემო მიწის მფლობელობის დროს არსებობს მიწების დრო-გამოშვებით დანაწილება და ხელახლა გადაცემა თემის მონაწილეთა შორის. ამგვარი ხელახალი გაყოფა დრო-გამოშვებით ხდება. რაც უფრო დიდი ხანი გადის ერთისა და მეორის განაწილების შორის, მით უფრო მალე იკიდებს ფეხს კერძო კუთვნილება. თუ ერთისა და მეორეს განაწილების შორის დიდი ვადა გადის, მაშინ თემის მონაწილეები თან და თან ითვისებენ იმ აზრს, რომ მიწა მათი კუთვნილებაა. ჩვენში უფრო გავრცელებული იყო ციდ ხნოვანი ვადა და თემის მონაწილეები ეჩვეოდენ იმ აზრს, რომ მიწა მათი კერძო, ინდივიდუალური საკუთრებაა. სათემო მიწის მფლობელობის დარღვევაში მონაწილეობას იღებენ არა სათითეულოდ ეს მიზეზები, არამედ ალაგ-ალაგ და სხვა და სხვა მიზეზები ერთად.

**სიმ. ავალიანი.**

# მოგონებანი

## IV

როგორ აწუხებდენ ქართლის სოფლებს ოსები. — მათი ბელადები. — განთქმული ავაზაკები **კანი** და **ბისტი**.—სალა ოსი.— ხალხის გაბეგვრა ამ ავაზაკებისაგან.—ამ ავაზაკების მდევარნი: ტარას მგალობლიშვილი და შიო ტეფნაძე.—ალაგმვა ამათთაგან ოს-ავაზაკებისა.—ტარასისა და შიოს თარეშიც ოსების სოფლებში და შიშის ზარი.—

> არ დავიწყება მოყვრისა
> არ ოდეს გვიზამს ზიანსა.
>
> **შ. რუსთაველი.**

ამ ჟამად რომ უპატრონოა სოფელი, ამას ყველა ჩვენგანი გრძნობს; მუდამ იმას ვჩივით და ვსტირით, რომ მივხედოთ სოფელსა, სოფელი იყვლიფება, მამულ-დედული ეცლება ჩვენს გლეხს ხელიდან და ფეხქვეშიდან; ვჩივით, ინტელიგენცია გაურბის სოფელსაო. თუ მეოცე საუკუნეში სოფელი უპატრონოა, თუ ამ ჟამად, როდესაც ჟურნალ-გაზეთობა გაფაციცებით ადევნებს თვალს ყოველს სოფლის მოვლენას, ამბავსა, ყოველს წვრილს სოფლის ცხოვრებისას ააშკარავებს გაზეთის საშუალებით და ხდის საზოგადოების საყურადღებოდ, და მაინც კიდევ ჩვენი სოფელი ჩამორჩენილია, მას წყლულს ვერვინ უშუშავს,—აბა მიბრძანეთ, რა ყოფა-ცხოვრებაში იქნებოდა სოფელი ორმოციან და სამოციან წლებში, როცა ჟურნალ-გაზეთების ხსენება არც კი იყო, გარდა «ცისკრისა», რომელიც მუდამ სულთმობრძავი იყო; თუმცა სამოციან წლებში ახალგაზრდობა აჟღერდა, დატრიალდა, გამოვიდა „საქართველოს მოამბე“ და «დროება», მაგრამ სოფელსა და მაშინდელ ახალგაზრდობის შორის დიდი საზღვარი იდო.

მაშინდელ სოფელს სწეწავდენ ვაჭრები, დიამბეგები, ათასი მოვახშენი და ავაზაკები. სოფელი თვით იყო თავისი პატრონი, გაჭირვებაში მშველელი. სოფლის გაჭირვებას თითქოს მიეშველებოდა დიამბეგი თავის იასაულებით და ამალითა, მაგრამ შველის მაგიერ მათრახით ატყავებდა: თქვენ თვით ხართ ავაზაკნი, ინახავს იმათ სოფელი, არ გინდათ მდევარი დაადევნოთ, დაიჭიროთ ავაზაკები და ალაგმოთ ისინიო. როცა მოახსენებდენ: ბატონო, ყოველივე ამას ვასრულებთ, მაგრამ რა ვქნათ, მინდორ-ველს ხომ თავს ვერ დავანებებთ, შემუშავება უნდა, ნამუშავარს სახლში შემოტანა, რომ გავუძლვეთ ხარჯებსა. ჩვენ რომ ავაზაკების დევნას დავადგეთ, ვიღამ იშრომოს, ვიღა გაუძლვეს ხელმწიფეს, ეოს, ბერსაო. მაგრამ კვლავ მათრახი, ცემა-ტყეპა!..

ოსები ნელ-ნელა დაიძვრნენ მთებიდან და ხეობებიდან და ჩამოესახლნენ ქართლის განაპირა სოფლებთან. მთელი კალთები დიდის მთებისა ჩრდილო-

ეთის მხრივ იმათ დაიჭირეს. როგორც წინა წერილშიც ვსთქვით, ოსები გამოვიდნენ სამაჩაბლოსა და საერისთავო მთებიდან, დაესახლნენ ფალავანდიანთ, ხერხეულიძიანთ და სხვა თავად-აზნაურთა მამულებში, წრესავით შემოერტყნენ გორის და დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილსა. მომეტებული ნაწილი ქურდობას მისდევდა; სოფელში გაეარნა ოსსა და არა მოეპარა-რა—ყოვლად შეუძლებელი იყო; გასაოცრად მიაჩნდათ ის მოვლენა, როცა ოსი არას მოიპარავდა. არამც თუ ქართლის სოფლებში ქურდობდენ, ერთმანეთშიაც, თავის სოფლებშიაც კი ქურდობდენ. ქურდობას ჯანი გავარდეს, ავაზაკობდენ და შიშის ზარსა სცემდენ ქართლის სოფლებსა. რამდენიმე ბრბო იყო შემდგარი სხვა და სხვა მხარესა, თითო ბრბოში ხუთიდან ათ კაცამდე იყო. ჩაუსხდებოდნენ შარა გზებში მგზავრებსა და უმოწყალოდ სცარცვამდენ; უკაცრაული სიტყვაა, პერანგის ამხანაგის სანაზარად სტოვებდენ, თუ გაუძალიანდებოდა ვინმე, სიცოცხლესაც ასალმებდენ. საქმე ის იყო, რომ ოსი-ავაზაკები ვაჟკაცურად არ უხვდებოდნენ; არჩეული ჰქონდათ შარა გზის პირად ტყით დაბურული ადგილები; ამისთანა ადგილებში ჩასაფრდებოდნენ, დამშვიდებულს მგზავრს იქიდან ესროდნენ თოფსა, მოუკლავდენ ცხენსა, ან ურემში გაბმულს ხარ-კამეჩსა და თავზარდაცემული მგზავრის გაცარცვა ადვილი იყო.

იყვნენ ისეთი ავაზაკებიც, რომელნიც ბრბოს არ ადგენდნენ. ორი-სამი, ან ერთი, დადიოდნენ ტყე-ტყე და გზის პირად ბინადრობდენ. ამისთანა ავაზაკებთაგან შესანიშავნი იყვნენ **კანი და ბისტი**. ამ ორმა ოსმა რამდენიმე წელიწადი ითარეშეს, შიშის ზარი დასცეს სოფლებს. მახსოვს, როცა ბავშვები გვიანობამდე არ დავიძინებდით, მშობლები გვაშინებდნენ: „დაიძინეთ, თორემ საცაა კანი და ბისტი მოვლენ და წაგიყვანენო“. მოგვეცათ ღვთის წყალობა, ჩვენ მალე გავკრავდით სუნგალსა და მივეცემოდით ძილსა.

კანმა და ბისტმა ისე დაიბრიყვეს ქართლი, რომ მივიდოდნენ რომელიმე სოფელში, დაიბარებდენ მამასახლისს და თავ-კაცებსა, გააწერინებდნენ ხარჯსა და დაუნიშნავდენ ვადასა: თუ ამა და ამ დროს ამდენ-ამდენი ფული არ გამოგიტანიათ, სოფელს ავიკლებთ და თქვენც დაგხოცავთო. ამას გარდა, ვინემ ხარჯს მოჰკრებდენ, სოფელს დანიშნულს ალაგს მიჰქონდა კანი და ბისტისთვის სადილ-ვახშამი დიდკაცური. ბოლოს როგორც იყო, დაიჭირეს და „კნუტს“ ქვეშ ამოართვეს სული. სოფელმა პატარა ხანს მოისვენა. მაგრამ მალე გაჩნდა **სალა-ოსი**. ეს მარტოდ-მარტო, ტლუდ დადიოდა, უამხანაგოდ. საშინელი მარდი და გამბედავი კაცი იყო, თამამად შედიოდა სოფელში და ჰკრეფდა ხარჯსა, თითქო ოსმალეთის ფაშა ვინმეაო. ცხინვალიდან მოკიდებული მთლად ლიახვის მარჯვენა ნაპირს მდებარე სოფლებში—ორი ნიქოზი, ორი ხვითი, ფხვენისი, შინდისი, ყილქცეული და ძლევის ჯვარი რიგ-რიგით აძლევდენ ხარჯსა.

ტყეში შეშის, ფიჩხის ან სხვა ხის მასალის გამოსატანად სოფლობრივ მიდიოდენ—ოცი-ორმოცი ურემი ძაღლებით და იარაღით. როცა ესე ერთად მიდიოდნენ, ავაზაკები ვერ შებედავდენ ხოლმე, მაგრამ თუ ერთს, ან ორს ურემს მოასწრობდენ, უსათუოდ გადმოუდგებოდნენ, გახდიდენ ჩოხებსა, წაართმევდენ ცულებსა და თუ ულლიდან ხარს ან კამეჩს არ გამოუშვებდენ, დიდი მადლობა უნდა გადაეხადნათ ავაზაკისათვის და სალმთო გადაეხადნათ სოფელში.

აი ამისთანა დროს გამოჩნდა ფრონის ხეობაზე, სოფელ დირბში, სოფლის გულშემატკივარი კაცი ტარასი ანდრიასძე მგალობლიშვილი, რომელმაც თვისი ყმაწვილ-კაცობა სოფელს შესწირა, თავისთავად იკისრა სოფლის ჭირ-ვარამის შემსუმბუქება, მისი შველა და დახსნა გაჭირვებისაგან. ის ჯერ ისევ თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლისა ყოფილა, როცა ალბულახის სამხედრო სკოლა დაუმთავრებია. ჭალარსად წასულა და სოფლად დატრიალებულა. მთელ დღეს თურმე ტოლ-ამხანაგებთან ნადირობაში ატარებდა. ისე გაიწაფა თოფის სროლაში და სხვა იარაღის ხმარებაში, რომ ცალი არა ჰყავდა*). სად და როგორ ნიშანს დაუნიშნავდით, რომ იმას ტყვია არ მოერტყა. უცნაურად ჰქონდა გაკვეთილი თოფის თუ დამბაჩის სროლა: ჩახმახზე შეაყენებდა თოფსა ამომიზნამდე, თვალით გამოზომავდა მიზანსა, მიდება თოფისა მხარზე ჲ სროლა ერთი იყო. სწრაფი იყო, როგორც ვეფხვი, გამქცევი, გადამხტომი და ცხენოსანი უებრო. ცხენი ჰყავდა დაგეშილი ისეთ ნაირად, რომ როცა უნდოდა, კაცს ძალლივით გამოუყენებდა, ცხენი კბილით მივარდებოდა. ეტყოდა, გადაქელე, **ნიშავ** (შუბლ თეთრი ცხენი ჰყავდა), გადაჰქელავდა.

ტარასს არ ჩამოუვარდებოდა მასთან თანშეზდილი ტახტისძირელი გლეხი (ტახტის ძირი ჲ დირბი მეზობელი სოფლებია) შიო ტეფნაძე. ეს ორი კაცი ვაჟკაცობით მთელი ხეობის თვალი იყო. იმათ შეადგინეს ოსების ასალაგმავად პატარა დასი—რაზმი, რომელიც შესდგებოდა სულ ხუთი-ექვსი კაცისაგან, მაგრამ ბოლოს ჲ ბოლოს მარტო ტარასი ჲ შიო უდგნენ კრიჭაში ოსთა ბრბოებსა. ამ კაცებმა თავისთავად იკისრეს სოფლის პატრონობა, გაიწირეს თავები და მუდამ ტყვიისთვის ჰქონდათ მიშვერილი გული, ესენი ჩინ-ტემლაკებისათვის არ იბრძოდნენ, არც დაეძებდნენ არავის ქება-დიდებასა, სრულიად უანგაროდ ილვწოდნენ. ჩემის აზრით ამისთანა კაცების დავიწყება არ არის კარგი. ამა-

*) ტ. მგალობლიშვილის მომსწრენნი და მნახველნი იმის საარაკო საქმეებისა დღესაც ბლომად მოიპოვებიან ქართლში.

თაც თავის დროზე შეუტანიათ თავისი წვლილი შრომისა თავის ხალხის საკეთილდღეოდ, მისი ჭირვარამის შესამსუბუქებლად. სოფლის მოყვრების არ დავიწყება, სულმნათი შოთას თქმისაებრ, „არ ოდეს გვიზამს ზიანსა“.

იქნება ბევრმა სთქვას: რას ჩმახავს, რაებს სწერამს ვილაც ტარას-შიოზეო, მაგრამ არა. იმათ თავის დროზე ბევრჯელ წყლული დაუშუშეს სოფელსა, გადაარჩინეს ავაზაკთა დარბევისაგან, ხოცვაჟლეტისაგან. ამავე დროს თავის თავზე არა ფიქრობდენ, თავისთავისათვის არაფერს სარფას არ გამოელოდნენ ავაზაკთა დევნითა. თუ ნადავლს იშოვნიდნენ, ან ავაზაკთაგან დარჩებოდათ მათი ნადავლი, სოფელში მიჰქონდათ, სასოფლოდ მიდიოდა ეს ნადავლ-ნაშოვარი.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ტარას მგალობლიშვილის ვაჟკაცობისას: ის იყო დაიწყო პატარა რაზმმა ტარასის მეთაურობით მოქმედება. სოფელში ჩამოვლილს ოსს ერთ-ერთი რაზმელთაგანი გაჰყვებოდა უკან იარაღით, შორიახლო, თუ გაჰბედავდა რასმეს, წასწვდებოდა მოსაპარად რასმეს, ვაი იმის დედას!—მაშინვე თოფს მიაყოლებდა შესაშინებლად, გაბაწრავდა და ამოიყვანდა სოფელში. სოფელი ჩასწერდა სახელსა და გვარსა დაჭერილისას, იმის სოფელსა, ჩამოართმევდა პირობასა, რომ აღარ ექურდნა, თორემ მაშინ სიცოცხლეს გამოესალმებოდა. რასაკვირველია, ამისთანა ლათაიებით ქურდს ქურდობას ვინ მოაშლევინებდა. ამ ბიწიერებას ღრმად აქვს გამჯდარი ფესვები ხალხის სოციალურს ცხოვრებაში. მაგრამ ტარასი და მისი რაზმი ჯერ ამ ღონისძიებას დაადგენ.

ერთს დღეს გუთნის სამხრობისას დაიძახეს, ტახტიძირს დაეცა ოსთა ბრბოვო. ზაფხულია, სოფლის მუშა-კაცობა გაკრეფილია სამუშაოდ; აწიოკეს დედა-კაცები და ბავშვები, გაიტაცეს, რასაც კი მოახელეს. ტახტისძირელმა შიომ ფიცხლავ მოჰკურცხლა დირბისკენ ტარასსთან. ანაზდეულად დაედევნენ ავაზაკებსა.

— საით იქნებიან, შიო! ჰკითხავს გზა-გზა ტარასი.

— დვანსა და ტახტის ძირს შუა აქვთ ბინაო, დიდ-წვრიმალაში, ფოლორცის თავში, კუნლიანში.

მიდის რაზმი, ხუთი კაცისაგან შემდგარი, თქარა-თქურით დვანის გზით. თვალი მოჰკრეს გზის პირად, რომ ვიღაც კაცი ძარცვამს გლეხის ბიჭსა, ესე თორმეტ-ცამეტი წლისას. დასჭყივლეს რაზმელებმა და ერთმა თოფიც მიახალა, თან რაც შეიძლება მიაშურეს. მიადგა რაზმი გლეხის ბიჭსა, რომელსაც გუთნისათვის სამხარი მიჰქონდა, სამხარი წაერთმიათ და ტანთაც ხდიდნენ. ტანისამოსის წაღება ველარ მოესწროთ და სამხარი კი მოეტაცნათ. ბიჭმა უჩვენა ავაზაკების გზა დიდ-წვრიმალისაკენ *).

— შიო, ისინი კუნლიანში შევლენ (კუნლის ჩირგვნარში), უნდა ფოლორცს შემოვუაროთ და პირდაპირ კუნლიანზე მივიტანოთ იერიში.

— სწორედ ეგრე.

— მაშ მომყევით... ცხენი იგრძნობს თუ არა ადამიანის სუნსა, მაშინვე თოფები მივახალოთ კუნლიანსა.

შემოუარეს კუნლიანს ადგილსა, ტარასის ცხენი შესდგება, ყურებს აცქვეტს, კუნლიანიდან ცხენი შემოსჭიხვინებს. ავაზაკები წართმეულს გუთნის ჯერს შეექცევიან. ერთი მათგანი წამოვარდება. ამ დროს გამოიჭექებს ტარასის თოფი და ავაზაკი წაიქცევა. გაჩნდება ხელჩართული ბრძოლა, ბრძოლა ხმალ-და-ხმალ. ორი ავაზაკი ცხენ და ცხენ გადაცვივიან ფოლორცში და ტყეს მიატანენ, მაგრამ ცხენები ჩაეფლობათ. ტარასის რაზმი ხუთივე ავაზაკს დაიჭერს, გამოიყვანენ შარაზე. აქ შეიკრიბებიან გუთნის დედები, მეხრეები. ულოცამენ გამარჯვებას, ათვალიერებენ გაბაწრულ ავაზაკებსა.

ამ ბრძოლაში ტარასი ორთავე მხარში დაიჭრა, შიო ბეჭში. ავაზაკთაგან ერთი სოფელში ჩაყვანისას გარდაიცვალა, ორი მძიმედ იყვნენ დაჭრილნი ხმლითა და მორჩნენ.

სოფელი დირბი იმ დღეს დღესასწაულობდა; საღამო ჟამი იყო; დაჭრილი ტარასი და შიო ეზოში ჩამოსხეს სკამებზე. მოსე დალაქი, ერთი ლაქლაქა და ოხუნჯი, უხვევდა წყლულებსა და თან აცინებდა დაკოდილთა.—ხალხი აღელდა, აურ-ზაურზე იყო, უნდოდათ თავის სამართლით გაესამართლებინათ ავაზაკები, მაგრამ ტარასმა და შიომ არ უყვეს. დაჭრილი ავაზაკებიც მოსე დალაქმა მოარჩინა. მიცვალებული დამარხეს, მაგრამ ღამე პატრონებმა მოიპარეს და თავის სოფელში წაიღეს.

ეს იყო და ეს, ტარასი და შიო ეზიარნენ ავაზაკების სისხლით, გავარდა ხმა ამათი ვაჟკაცობისა, დაემტერნენ ოსები, სისხლის აღებას ლამობდნენ. მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ.

რომ გადიწევდა მზე, შეისხამდენ ორი მეგობარი იარაღსა და ისეთ ალაგებში დადიოდენ, სადაც საღამოზე ოსები გამოდიოდნენ მწყემსების დასაწიოკებლად, პირუტყვის წასართმევად. ერთხელ მოასწრეს, რომ სამი ცხენოსანი ოსი სოფ. ძველეთის ტყის პირად, დირბის ჩრდილოეთით, შეშით დატვირთულს ურემს გადასდგომიან, ცული და წალდი წაართვეს გლეხსა და საყევრის ხარსაც უხსნიან. ამ დროს ანაზდეულად გაჩდებიან ტარასი და შიო მონადირეს მზგავსად.

— გამარჯვებათ თქვენი! ეტყვიან მონადირენი.

ავაზაკები სდუმან, თავის საქმეს აკეთებენ, მაშინ ტარასი თვალს უზამს შიოს ხანჯალზე. თვი-

---

*) დიდი წვრიმალა ჰქვიან ტყიან ადგილს, სადაც ფიჩხი იჭრება და ცოტა რამ საწვავი შეშა; უფრო გასაგებად რომ ვსთქვათ—შეთხელებულს ტყეს ჰქვიან.

თონ გამოჰკრავს ხელს ერთს ავაზაკს და შორს ზღართანს გაადენინებს.

— აა, კრინტი არ დასძრა, კრინტი, თორემ თოფით გაგხვრეტ, შე არამზადავ, შენა!

— ვინ ოხერი ხარ შენა!..

— ადგილიდან არ დაიძრა... ჩაუბი საყევარი, გლახა! უბრძანა დირბელ გლეხსა.... მე ვინცა ვარ, დღესვე გაიგებ.

სალამოთი გლახას ურემზე გამობმული ჩამოაბძანეს სოფელში სამი ცხენოსანი ოსი, თავის ხურჯინებით, იარაღ აყრილნი. სოფელი ლოცულობდა სწორეთ ამ ორ კაცზე. აღარ იცოდნენ, როგორ გამოეთქვათ იმათდამი სიყვარული და პატივისცემა. თან სოფელი აფთხილებდა თავის გმირებსა.

— სისხლის გადახდა იციან და ცხრა თვალი გამოიბით და ცხრა ყური, თორემ ნავნევ გიზამენო.

ისინიც ძალიან ფთხილობდენ. სალამოთი ოსურს ტანისამოსში გამოეწყობოდნენ და ისე დადიოდნენ სოფლის ნაპირებში, ამასთან ოსურიც იცოდნენ და არა შიშობდენ. დაირხა ხმა ოსებში ტარასის ვაჟკაცობისა, უშიშრობისა და თოფ-იარაღის ხმარებისა. სოფლის მწყემსები რომ დაინახავდენ სადმე წვრიმალაზე მიმავალს ოსსა, დასჭყივლებდნენ:

— ოსა—ლაპუ! მოვიდა ტარასი, მოვიდა!

ოსიც, ამ სახელის გაგონებაზე, მაშინვე მოჰქუსლავდა თურმე ქუდ-მოგლეჯილი.

როცა გავარდა ტარასის ვაჟკაცობა, სწორედ იმ ხანებში პარპაშობდა ზემოდ ნახსენები **სალა-ოსი**, უშიშარი ავაზკი. ბეგარა-შეწერილნი სოფლელნი ჩამოვიდნენ, მახსოვს, ტარასთან და შიოსთან.

— სული ამოგვმართვა სალა-ოსმა, ხარჯს ხარჯზე გვაწერს. მოგვხედე და გვიპატრონე რამეო.

— შეადგინეთ თქვენც ჩვენსავით რაზმი და ერთს კაცს, როგორ ვერ მოერევითო, უთხრა ტარასიმ. სირცხვილი არ არის, ხუთ-ექვს სოფელში ერთი-ორი კაცი როგორ ვერ გამოჩნდა, რომ იმ წუწკს ოსს გაუმკლავდესო... ჰაა, შიო, რას იტყვი? მივეშველოთ?..

— მა, შე, დალოცვილო, მეტი რა ხელობა გვაქვს...

— საით იმალება ხოლმე, ხალხნო, სალა-ოსი, სად უნდა ჰქონდეს ლამე ბინა? ჩაეკითხა ტარასი.

— წუნარის მხრივ ჩამოდის, შენი ჭირიმე.

— ჰოო, მაშ ყორნისში ჰქონია ბუდე... კარგი. თქვენ წადით, სოფლად დაარხიეთ ხმა, რომ მე და შიო გავუმკლავდებით...

აღარ ახანეს; მეორე დღესვე გამოეწყვნენ ოსურს ტანისამოსში, თავით-ფეხამდე შეიარაღდნენ, მოასხდენ ცხენებს და გაუდგენ გზას ყორნისისაკენ. ოჯახში ერთი წიოკობა იყო, ეხვეწებოდნენ, ნუ მიხვალ, დაანებე სისხლს თავი, კარგი არ არის ოჯახისათვის სისხლით შესვრა ხელისა, მაგრამ ტარასს ხვეწნა-მუდარა არ ესმოდა.

როცა ძმობილები წავიდნენ სალა-ოსის შესაპყრობლად, იმას უკვე გაეგო, ღამით ჩამოსულიყო დირბში და სოფლის განაპირას ფარეხში მისულიყო. მეცხვარესთვის გამოეკითხნა ტარასის ვინაობა, ეკითხნა, შეიძლება იმისი ნახვა, თუ არაო.

— ნუ ძმაო, ნუ! თუ ავაზაკი ხარ, ნუ ნახავ. მე იმისი მეცხვარე ვარ, ეს ფარეხი და ცხვარი იმისია... იცოდე, თუ დამიშავე რამე, შავი დღე დაგადგება... შინ არის ამაღამ თუ არა, არა ვინ იცის. რომ შებინდდება, იმის შემდეგ იმისი გზა და კვალი შინაურებმაც არ იციან: სად მიდის ღამე და სადა სძინავს, იცის მხოლოდ იმისმა ნიშა-ცხენმა და შიო ძმობილმა...

— იმასაც ძალიან ხმა აქვს ჩვენს მთაშია, სთქვა სალა-ოსმა... ვინ არის, რა კაცია.

— ეს კი ვიცი, რომ ორთავეს ერთი ძუძუ უწოვიათ... ვენაცვალე იმათ ღმერთსა, ეხლა სოფელს ცოტა დამშვიდებით სძინავს...

— ახ, ნეტა ერთი შემყარა.

— სამოყვროდ, თუ სამტროდ!.. სამოყვროდ ღმერთმა კარგი მოგცეს, კარგნი ისინი არიან, მაგრამ სამტროდ ღმერთმა დაგიფაროს, ძმაო. არ დაგაცდენენ ტყვიასა. ლაპარაკზე, ფაჩუნზე შოგარტყმენ ტყვიასა... აი იმ დღესა, დაუწყო მეცხვარემ, ელიაობა დღესა, ძალიან ილხინეს, ტარასიმ ისე გადაჰკრა, რომ სულ ბანცალებდა. ვიღამაც გაიხუმრა, ნეტა ეხლაც მოარტყამს ნიშანშიო. მოჰკრა ყური, მომიტა, შიო, ჩემი გძელი თოფი.,. აიმ ცხვარს, დაბლა, პერის ზვარში რომ სძოვს, სად გინდათ მოვარტყაო, უთხრა ტარასმა. დაუნიშნეს, თუ კოჭში მოარტყამ, ძალიან ბიჭობა იქნებაო. დასწყევლოს ღმერთმა, თოფს მოჰკიდა თუ არა ხელი, გამოფხიზლდა და ცხვარს სწორედ დანიშნულს ალაგას გაალოკა ტყვია... მაინც შენ ვინა ხარ? ჩაეკითხა ბოლოს მეცხვარე,

— მე სალა-ოსი გაგიგონია, ისა ვარ!

— ნწ, ვინც გინდა იყო, გინდა სალა-ოსი, გინდა კანი და ბისტი გაცოცხლდნენ, იმათთან შეჭიდება ძნელია... ისე მარდია, რომ თვალს ვერ მოასწრებ, რომ შემოგხედავს, გული გაგისკდება, იარაღის ხმარებას ნულარ იტყვი, წადი, ჩემო ძმაო, ნუ ჩახვალ სოფელში, არ გირჩევ... როგორც ალალმა მწყერი არ აიყვანოს, ისე აგიყვანს... ჩამოეხსენ.

სალა ოსი თავჩაკიდებული წასულიყო. ეს ამბავი მეორე დღეს უამბო სოფელსა. სოფელში ერთი ყაყანი შესდგა.

— კაცო, როცა ი კაცი მიდის სახლიდან, ყარაული დავაყენოთ, არა უხიმანონ-რა მაგ ურჯულოებმა, სახლი არ გადაუწვან. ის სალა ოსი კი არ იქნებოდა, მზვერავად იქნებოდა მოსული.

მართლაც სოფელმა ყარაული დაუყენა ტარასის სახლსა, როცა შინ არ იყო. იპოვეს ბინა სალა-ოსისა ყორნისის ხეობაზე, დღე ტყეში იყო, ღა-

მე თავს აფარებდა სოფელში. შეუთვალა ტარასმა: გამიგია, კაი ბიჭი ხარ, მარდი და ჭამაცი. თუ ასეთი ხარ, მოპარვით ნუ მოხვალ ოსურად. ერთმანეთს შევხვდეთ, ერთმანეთს შევხედოთ და ისე ვისროლოთ თოფიო..

ის იყო და ის, დაანება ქართლს თავი სალოსმა და ჩრდილოეთ ოსეთში გადიხვეწა. მასუკან შესწყდა კიდეც ქართლის სოფლების რბევა.

ხანდისხან თვით ტარასი და შიო სამიოდ შეიარაღებული ბიჭით გაისეირნებდა ყორნისის ხეობისაკენ, დაენახვებოდა, ცოტა რომ არ იყოს, ოსებს ფახატი მისცემოდათ ხოლმე გულში; მაგრამ საცარცვავად და სადავლოდ არ მიდიოდა, აჩვენებდა თავსა, არა მძინავს, გამიფრთხილდით, თარეშს თავი დაანებეთო. ამ გავლით შიშის ზარსა სცემდა ოსის სოფლებსა. ოსების-ქიზგები (ქალები) ბავშვებს აშინებდენ: გაჩუმდით, ტარასი მოდისო!..

მაგრამ ოსებმა შური იძიეს და სისხლის ასაღებად მოემზადნენ. განიზრახეს ტარასის ოჯახის მთლად ამოწყვეტა, ეს იყო 1863 წ., კარგად მახსოვს ეს ხანა, მაშინ სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში ვიყავი. იმ დროს ტარასი ჩაფრების უფროსად იყო დანიშნული და თავის შიოც თანა ჰყავდა. ოსები უდარაჯებდენ, უნდოდათ სახლში მოესწროთ და მოეკლათ. ეს დროც დადგა.

ერთს დღეს სტუმრიანობა ჰქონდა ტარასსა; მისს ნათესავებს თავი მოეყარათ; დარბაზი და ოთახები სავსე იყო სტუმრებითა.

ზაფხულია. დაისსვე მოსულან სოფლის პირად ოცი შეიარაღებული ოსი. ტარასის სახლკარი ელიის ეკლესიის მეიდნის პირად იყო, აღმოსავლეთით მეზობლები არ სახლობდენ. ელიის მეიდნიდან გზა ჩადის ვენახებისაკენ. აი ამ უხალხო გზით ამოსულიყვენ ავაზაკები. ზემო-ოთახები დაელოთ და ყოველივე გაეტანათ; რვა კაცი მოედანზე უცდიდნენ ცხენებთან; ნაცარცვი იმათთან მიჰქონდათ და ისინიც ხურჯინებში ათავსებდენ. მიაგნეს, სადაც ეძინა ტარასსა. დარბაზისა და სხვა ოთახების კარებები გარედან ჩარაზეს. მერე აიღეს დიდი ძელი და არტყეს ტარასის ოთახის კარებსა. იქ სულ თორმეტი კაცი მოქმედებდა თურმე. კარი გატყდა, ძელი იატაკზე დაეცა; ხალხში წიოკობა ჩავარდა; ქალები ფანჯრებში ძვრებიან, სახლში სიბნელეა. როცა კარებში ჩოჩქოლი შეიქმნა ავაზაკებისა და ტუტუნი, ტარასმა იქ ესროლა თოფი. ვიღაც წაიქცა. ფალიის ალზე მიაგნეს, სადაც იწვა, მისცვივდნენ ხლმებით. ტარასი სდუმს, ხმას არ იღებს. მოიმარჯვა მეორე თოფი, გაუღერა; ავაზაკებმა დაუშინეს თოფს ხმალი, ხელი მიაჩეხეს ტარასს, მაგრამ მაინც არ უშვებს ხელს; ხმალი კანჭშიაც გაჰკრეს, მაგრამ არად იმჩნევს. ვიღაცას თოფის ტუჩს მოუცაცუნებს გულთან, იჭექებს და ვიღაცას ზღართანი მოხვდება იატაკზე. გარედ წივილ-კივილია. გაისმის ხმა: „მოჰკლეს ტარასი!,." ამ დროს გაჩნდება შიო, რომელსაც საბალახოდ ჰყოლიყო ცხენები... ოსებმა გაათრიეს დაჭრილები და გავიდნენ,

ქალებმა შეჰღრიალეს შიოს. შიოს ხსენებაზე ტარასი წამოდგება ბნელ ოთახში, სწრაფად გადიცვამს ჩოხას, ფეხებს წაჰყოფს ჩუსტებში, გაიგდებს ხმალს, ყარაბინებს და გამოვარდება გარედ,

ქალების და სტუმრების სიხარულს საზღვარი არა აქვს,

— აბა, შიო, ჩქარა ცხენები! გავეკიდოთ.

ემუდარებიან, კალთებზე ეკიდებიან: დაჭრილი ხარ, სისხლი ჩამოგდის, დაანებე თავი. მაგრამ იგი გაყრუმუნჯებულია.

მოახტებიან უბელო ცხენებს, გაეკიდებიან. ელიის მეიდნის ნაპირას, გვერდობაზე ცხენის თქარა-თქური ისმის. გამოუდგნენ კვალსა. დაინახეს, გარბიან. შიომ მიაყოლა თოფი და დასჭყივლა; სოფელიც შეინძრა. შეშინდნენ ავაზაკები. ნადავლი დაჰყარეს, დასტოვეს ორღობის პირად ორი დაჭრილიც ტარასის სახლში. მისდიეს ორღობეში ტარასმა და შიომ. ოსებმა მარქაფა ცხენებს ანებეს თავი და თავი მიაფარეს. ეს ბრძოლა იმით გათავდა, რომ დარჩათ ორი ცხენი, დააყრევინეს ნაცარცვი და ორი ამხანაგი დაატოვებინეს. ამ ამბავმა ხომ მთლად შეაშინა ოსები და ის დღე იყო და ეს დღე, ქართლის სოფლებს თავი დაანებეს. მხოლოდ ხანდისხან დოღლაურში, სადაც ეხლა რკინის გზის სადგურია **გომი**, დაეცემოდნენ ხოლმე ოსი ავაზაკები მგზავრებსა. მას შემდეგაც ტარასიმ და შიომ ბევრი ვაჟკაცობა ჩაიდინეს, მაგრამ ეს ნებით აღარ იყო, მთავრობის ბრძანებით და ამის აღწერას აღარ შევუდგებით.

შიო ტეფნაძე ჯერ ისევ ყმაწვილად გარდაიცვალა. დიდად იგლოვა იგი ტარასიმ. თვით ტარასი გარდაიცვალა პირველ იანვარს ამა 1910 წლისას, ღრმად მოხუცებული, ოთხმოცდა ათ წლამდე. სიკვდილამდე მხედველობა და სმენა საოცარი ჰქონდა. კიდევ ნადირობდა და თითქმის ისევ ყმაწვილურად იღებდა ნიშანში თურმე. მხოლოდ მუხლი აღარ მოსდევდა — ცხენზე ჯდომამ გასტეხა.

სოფელი აფასებდა ამ თვის მოკეთეებსა და დიდს პატივსა და სიყვარულში ჰყავდათ.

**ს. მგალობლიშვილი.**

# ეროვნული მოძრაობა.

საქართველოში ბევრი ხევია ლამაზი და მშვენიერი, მაგრამ თუ შორიდან შევხედავთ, თვითონ საქართველო ერთს ხევსა წარმოადგენს კაცობრიობაში ჩაღრმავებულს და ჩაბნელებულს; ისეთ ხევს, რომელსაც მზის ნათელი, ნათელი უკანასკნელი მოძრაობისა, ვერც კი წვდება. მართლაც, საქართ-

ველო ხომ რუსეთის ნაწილია და თვითონ რუსეთი განათლების მხრივ რა არის და მისი განშორებული კუთხე—საქართველო—რა უნდა იყოს?

ძალიან დიდი შრომა გვინდა, ძალიან თავგამოდება, ერთობა და ფრთაშესხმული გატაცება, რომ შევქნათ რამე; დავდგეთ ფეხზე, ავწიოთ თავი, გავარღვიოთ ის სიბნელე, რომელიც გარს შემოხვევია ჩვენს ქვეყანას და ამ გვარად ცოტაოდენი მაინც მონაწილეობა მივიღოთ საკაცობრიო მოძრაობაში.

რომელ მოძრაობაში?!

*I*

**ოსმალეთი.**

ავიღოთ ოსმალეთი.

ეს უშველებელი იმპერია დაკარგულად ითვლებოდა ამ ორის წლის წინად. უკანასკნელი ორმოც-ორმოც და ათი წლის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიას ჩამოწყდა უშველებელი ქვეყნები: რუმინია, სერბია, ბოლგარია; კიდევ ადრე, წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში განთავისუფლებულ იქმნა საბერძნეთი; კავკასიაშიაც დაჰკარგა ოსმალეთმა დიდი ადგილები: ყარსის და ბათუმის მხარე; აფრიკაში ჩამოწყვიტეს ეგვიპტე... ერთის სიტყვით, ოსმალეთი ირღვეოდა და ინგრეოდა. ყოველ ოსმალოს, თუ ცოტათ მაინც განვითარებული იყო და გაეგებოდა რამე, ცრემლები მოსდიოდა. განა სამწუხარო არ იყო გულ-ხელ-დაკრეფილად ყურება მისი, თუ როგორ ჰქარწყლდებოდა და ინგრეოდა დიადი სახელმწიფო? როგორ იკარგებოდა ამდენი საუკუნოების შრომა და განუწყვეტელი ომი?!

აგრეც მოხდებოდა, დაირღვეოდა და დაინგრეოდა მთელი სამეფო, რომ კიდევ ცოტა ხანს გულ-ხელდაკრეფილად დარჩენილი იყო ოსმალეთის შეგნებული ახალთაობა. წავიდა ის დრო, როცა გულ-ხელდაკრეფილობა, შეიძლება, დიდი ღირსებაც იყო, ჩუმად ყოფნა, ძილი და დუმილი, უხმო მორჩილება, ლოცვა და ლოდინი სასწაულებისა ცის კამარიდან... არა, ის დრო წავიდა. საჭირო იყო საერთო გამოფხიზლება და დამოუკიდებელი შრომა და თვითმოქმედება ყოველ პიროვნებისა. მხოლოდ მაშინ, თუ ყოველ წერტილზე მთელ იმპერიაში, აღმოჩნდებოდა თვით შემგნები ცნობიერება, მაშინ შეიძლებოდა დაცვა ყოველ ამ წერტილისა. თუ ოსმალელი შეიგნებდა, რომ ის—ოსმალელია, სადაც გინდა ყოფილიყო იგი, ტრაპიზონში თუ სმირნაში, აშკარაა, ყოველ იმ მტკაველ ადგილს, სადაც ის ოსმალელი იდგა, თავის დამცველი ეყოლებოდა და თავის პატრონიც. უმშვენიერესი და უძვირფასესი მხარე ეროვნული ცნობიერებისა ის არის, რომ იგი ყველას შეეხება: მისთვის არც მუშაა, არც თავადი, არც ბერი, არც ერი, არც ბურჟუა, არც პლორეტარი. იგი—საერთოა: იგი ერთად ერთი გამომხატველია ნამდვილ **ერთობისა.** ამიტომ მასში და მხოლოდ მასში იმალება ის დიადი სოციალური ძალა, რომელმაც უნდა აუცილებლად თანდათან მოსპოს ყოველი სოციალური უსწორ-მასწორობა და დაამყაროს ნამდვილი სოციალური დემოკრატია.—სწორედ ამიტომ იგი ადვილად ჰპოულობს ადგილს ყოველ ადამიანის გულში და თუ ერთ წერტილზე აღმოჩნდა შეგნებული ადამიანი, იგი აუცილებლად ჰპოულობს, ბოლოს და ბოლოს მაინც, თავის თანამოაზრეს ან —აი უკეთესი და ნამდვილი სიტყვა—თანამოძმეს, **ძმას.** ამ სიტყვის შინაარსი ქართულად უფრო ვრცელია, უფრო სოციალური. ამ ნაირად, როცა ერთი იგრძნობს მეორის ძმობას, მეორე—მესამისას და აგრე ერთგვარი გულის ძგერა გაიშლება და მოიფინება მთელს ქვეყანაზე, მაშინ იწყება ეროვნული მოძრაობა, მაშინ თითოეული ადამიანი ჰგრძნობს, რომ იგი შეკავშირებული და შექსოვილი ყოფილა ქვეყნის ცხოვრებაში; მაშინ ქვეყნის ცხოვრებაც—შემთხზარია ცალკე პიროვნებათა ცხოვრებათაგან: იგი მით უფრო ვრცელია, ღრმა და უძლევი, რამდენადაც უფრო შეგნებული და უფრო მრავალია მისი შემთხზველნი პიროვნებანი.

აგრე მოხდა ოსმალეთში. სათავეში იდგა სულთანი, ღვთაების ლანდი ამ ქვეყანაზე; ის განაგებდა ყველაფერს. ის იყო კანონმდებელი და უმაღლესი მართველი, მაგრამ ის იყო **ერთი**. დროება გამოიცვალა და ქვეყნის აღსადგენად და გასამაგრებლად საჭირო იყო მარტო ერთი კაცი კი არა, ერთი კაცის გრძნობა და გონება, ერთი კაცის ცნობიერება,—არა; საჭირო იყო ათასი და ათი ათასი გული და გონება, ათასი და ათი ათასი წამონთებული ცნობიერება, რომ ამ საერთო ალს განეწმინდა ჰაერი და შეეთხზა **ერი**. აი უმთავრესი შინაარსი ოსმალეთის რევოლუციისა.

სულთანი ტახტიდან ჩამოაყენეს, დაარსეს ერის წარმომადგენლობა და ამ რიგად გზა გაეკაფა ეროვნულ ცნობიერებას.—ამბობენ, სულ ერთია, დაბერებულ ორგანიზმს ვერა უშველის რაო: ოსმალეთი უნდა დაირღვეს და მის ადგილას შეიძლება აღმოცენდეს ახალი ერთი ან რამოდენიმე ერიო. ეს აზრი შემცდარია. რამდენადაც უფრო ვუკვირდები ოსმალეთის ცხოვრებას, უფრო ვრწმუნდები, რომ იგი არ არის ბებერი ორგანიზმი და იცოცხლებს კიდევ დიდ ხანს. აი ამის საბუთი.

ამ ერთი თვის წინეთ კუნძულ კრიტეს წარმომადგენლებმა (საბჭომ) ერთგულება შეჰფიცეს საბერძნეთის მეფეს. მკითხველმა, რა საკვირველია, იცის, რომ კუნძული კრიტე ოსმალეთს ეკუთვნის: კუნძულს აქვს მინიჭებული ავტონომია და ოსმალეთთან დამოკიდებულება უფრო ნომინალურია, ვიდრე რეალური. მიუხედავად ამისა—კანდიოტებს (კრიტეს მცხოვრებთ) დიდი სურვილი იქვსთ შემო-

ურთონ თავის სამშობლო საბერძნეთს, რადგანაც თვითონ უმეტესად ბერძნები არიან. სწორედ ამიტომ შეჰფიცეს ერთგულება საბერძნეთის მეფეს... წარმოსადგენია—ამისთანა პოლიტიკური თავგასულობა?! გაგონილა--ერთი სახელმწიფოის ქვეშევრდომმა ერმა ერთგულობა შეჰფიცოს მეორე სახელმწიფოს?

როგორ მოიქცა ოსმალეთის მართველობაო, მკითხავთ თქვენ. მართველობა მოიქ'ცა ისე, როგორც შეჰფერის შეგნებულ შორსმჭვრეტელ მართველობას. მაგრამ ეს სხვა საკითხია. მე მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება მეორე საკითხს: როგორ მოიქცა თვითონ ოსმალეთის ერი? თუმცა ყოველი მართველობა არის და უნდა იყოს ორგანო ეროვნული ცხოვრებისა, მაგრამ აქ მათი გზა და მოქმედება ცოტათი სხვადასხვაობენ. მართველობა დაადგა დიპლომატიურ მიწერ-მოწერის და მოლაპარაკების გზას; ეს აუცილებელი იყო, რადგანაც საერთაშორისო მდგომარეობა კრიტესა სხვა ნაირია. სულ სხვა ნაირად მოიქცა იგივე მართველობა ალბანიაში, სადაც უგუნურ აჯანყებას პირდაპირ ჩაავლო კისერში ხელი და ჩაახრჩო რკინის მარწუხითა... ხალხი კი დაადგა სულ სხვა გზას: მან ბოიკოტი გამოუცხადა საბერძნეთს. აი სწორედ ამაზე მინდა მივაქციო ყურადღება ჩვენი მკითხველებისა. ბოიკოტის გამოცხადება, რა საკვირველია, ადვილია. თვითონ ბოიკოტი შეიძლება საზიანო იყოს ყველასთვის და დიდი ზარალი მოუტანა თავდაპირველად თვითონ ოსმალეთს... საინტერესოა მეორე მხარე ამ მოვლენისა: რამდენად განხორციელდა ეს ბოიკოტი? ან უკედ: რამდენად შეგნებული და განვითარებული აღმოჩნდა, ეროვნულის თვალსაზრისით, ოსმალეთის ერი? წარმოიდგინეთ, რომ ოსმალეთის ხალხმა გამოიჩინა დიდი ეროვნული ცნობიერება, არა მარტო კონსტანტინეპოლში, არამედ ყველგან: სალონიკში, ბეირუთში, ტრაპიზონში, სმირნაში, ერთის სიტყვით, ყოველ დიდ და პატარა ქალაქებში საშინლად იფეთქა ერთ და იმავე ეროვნულმა გრძნობამ. ხალხის გულმა იგრძნო ერთი და იგივე ტკივილი და ერთნაირად დაიკვნესა მთელს იმპერიაში, როცა გაიგონა თავგასული გადაწყვეტილება კანდიოტებისა. ეს ხომ ჩამოგლეჯა იყო სახელმწიფოის ტერიტორიის ერთი ნაწილისა, ეს ხომ დაცინვა და სამასხაროდ ახირება იყო განახლებულ ოსმალეთისა, ეს ხომ ზიზღის და მძულვარების გამოცხადება იყო საერთო სამშობლოსადმი!? და აი სწორედ ამიტომ შეწყვიტეს ყველგან მუშაობა ბერძნების შესახებ და მოჰკვეთეს მათთან ყოველი განწყობილება. საბერძნეთის გემები და ხომალდები ვერა ჰპოულობდენ მუშებს დასატვირთავ-გადმოსატვირთავად და იდგნენ ზღვაში გაჩერებული. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ათასი და ათი ათასი ოსმალელი მუშა მხოლოდ ამ მუშაობითა ჰსცხოვრობს, რომ ამ გვარადვე შეწყდა მუშაობა მრეწველობის და აღებ-მიცემის ბევრს სხვა დარგში, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა მსხვერპლი მოუტანა სამშობლოს სახელს ოსმალელმა მუშამ ამ უკანასკნელ დროში.

აშკარაა, ამისთანა ქვეყანა, სადაც აგრე განვითარებულია ეროვნული თვით-შეგნება, არ დაიკარგება, არ მოჰკვდება, ვინაიდან იმას ერთი ჭი'იისუფალი კი არა ჰყავს და ორი, არამედ 'ძილიონი. ყოველი შვილი მისი ჭირისუფალია.

ეს ერთი. აღვნიშნოთ ეხლა მეორე მოვლენა: ბოლგარია და ნეოსლავიზმი.

ვ. გვაზავა.

# სიკვდილით დასჯილი.

(მოთხრ:ობა)

## IV

— ამხანაგებო! ლასალმა გვიანდერძა, მტერს უნდა ყრონტში სწვდე და მუხლით ზედ შესდგეო. მართლაც მეტი გზა არ არის. პროლეტარიატმა უნდა თვისის მძლავრის მკლავით მოიპოვოს ის სასურველი თავისუფლება, რომელსაც შეუძლია მონობის მოსპობა და ჩვენი აღფრთოვანება. არას გზით არ დაიჯეროთ, რომ ვინმე თქვენთვის შეიწუხოს თავი და თქვენზე იზრუნოს. ხომ გაგიგონიათ: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო“-ო. ისინიც თავიანთ თავზე ზრუნავენ და გადარჩენილსა და სუფრიდან გადავარდნილს ნამცეცებს ჩვენ გვპირდებიან. შიგ თავ-პირში მივახალოთ მაგათი გადანარჩენი და ჩვენ ჩვენის ლუკმისათვის შევიბრძოლოთ. არ იფიქროთ, ამხანაგებო, რომ რაიმე საშუალება უვარგისი იყოს ბრძოლის დროს: ვისაც როგორაც გეხერხებოდეს, ისე იბრძოლეთ. იცოდეთ, რომ შრომის იარაღი თქვენი აუცილებელი საკუთრებაა და თუ დღემდე ისინი გვავლებდენ პირში ჩალას, დღეის იქით ჩვენ უნდა შავი მიწით გაუვსოთ მათ პირი. არამც და არამც, ამხანაგებო, ბურჟუაზიის წარმომადგენელ მღვდლებსა და მასწავლებლებს არ დაუჯეროთ. სულ მაგათი მეოხებით აქვს ხალხს თვალი ახვეული და ამიტომაც უახლოესი ჩვენი მტრები მაგენი არიან. მაგათთან ერთად, ამხანაგებო, მთელი ნასწავლი ხალხიც ბურჟუაზიის წარმომადგენელია და მაშასადამე პროლეტარიატის მოსისხლე მტერი. ამხანაგებო, ნუ დაივიწყებთ, რომ ძალა ერთობაშია. გახსოვდეთ, რომ გარდა თქვენის თავისა არავის იმედი არ უნდა იქონიოთ, ამიტომ, პროლეტარებო, შეერთდით და შეერთებულის ძალებით დაამსხვრიეთ ბატონობის უღელი. ამხანაგე-

ბო, ნუ დაუჯერებთ იმ მწერლებსა და მქადაგებლებს, რომელნიც სამშობლოს სიყვარულზე საუბრებით დასაძინებელს ნანინას გიმღერიან. დიახ, ამხანაგებო, იმათ ჩვენი დაძინება სწყურიათ და ჩვენს ძილში ბატონობის გაძლიერება, ამიტომაც უნდა იცოდეთ და კარგად გახსოვდეთ, რომ პროლეტარს სამშობლო არა აქვს და არც უნდა. მაშ, მთელის ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით! გაუმარჯოს შეერთებულს პროლეტარიატს!

ამხანაგებო, აქ თქვენ ჩაგაგონებენ, რომ რუსთ ხელმწიფემ თავისუფლება მოგცათ, კონსტიტუცია გამოაცხადაო. არ დაიჯეროთ! არამც და არამც კონსტიტუციას არ დასჯერდეთ, რადგან ეს იმას ემსგავსება, რომ კაცი სასმელ-საჭმლით სავსე სუფრისაკენ მიხვიდოდეს, რამე მცირედ ფიჩხს ფეხი წამოჰკრა და ამით შეშინებული ცალიერი კუჭი თითით გაივსო. არა, ამხანაგებო, ჩვენ კონსტიტუციით ვერავინ დაგვაბრმავებს! მხოლოდ ნუ დაივიწყებთ, ამხანაგებო, რომ იმ მებრძოლთ, რომელთაც მოგვანიჭეს დღევანდელი ერთობა და თავისუფლება, შემწეობა უნდათ. ამიტომ თქვენ უნდა აირჩიოთ კამიტეტი სანდო პირთაგან და შეუდგეთ ადგილობრივის ორგანიზაციის საქმეს. ჩემის აზრით გოგისა თვალაძე ამ შემთხვევაში შემწეობას აღმოგვიჩენს, რასაკვირველია, თქვენის დახმარებით და საერთო მოქმედებით. მე კი, ამხანაგებო, აქ დარჩენა არ შემიძლიან, დღესვე უნდა გადავლახო აი ეს მთა და ვინ იცის, მომიხდება თუ არა როდისმე თქვენი ნახვა ხელმეორედ. როგორც წუხელის გოგისამ მიამბო და მეც გხედავთ, შეგნებულნი ყოფილხართ და თქვენთვის დიდი ჩიჩინი არ ყოფილა საჭირო. მაშ, პროლეტარებო, შეერთდით! გაუმარჯოს პროლეტარიატს!—დაასრულა თავისი სიტყვა ოქროპირმა, როგორც ამ პროპაგანდისტს ეძახდნენ. ხალხმაც გაუმარჯოს, გაუმარჯოსო მიაძახა და ახმაურდა, თათბირი შექმნა.

ოქროპირი თვისს გზას გაუდგა. თან გოგისა და მისი ამხანაგები გაიყოლა, მხოლოდ სიმონი დარჩა სოფლელებთან და თათბირში მონაწილეობას იღებდა. როცა გოგისა, ვანო ნალბანდი, პავლე და კოტე დაბრუნდნენ, მოედანზე ხალხი არ დაშლილიყო, არამედ ახლო-მახლო სოფლებიდამაც მოსულიყო და სოფლის მასწავლებელ ნიკიფორე არჩვაძის სიტყვას ისმენდა. ნიკიფორე არწმუნებდა სოფლელებს, რომ პროპაგანდისტ ოქროპირის ნათქვამი სრულიადაც არ შეეხება მათ, რადგან პროლეტარად ისეთ მუშებს უწოდებენ, რომელთაც არც სახლ-კარი და არც მიწა-წყალი გააჩნიათო; რომ ეს სახელი სრულიადაც არ შეესაბამება თვით მესაკუთრე გლეხკაცობას, რომელიც ჯერ არ გამხდარა ბოგანოდ, არ მოსწყვეტია სამშობლო ნიადაგსა და მიწა-წყალსო. ნიკიფორე არჩვაძე არწმუნებდა კრებას, რომ ის აჯანყება, რომელსაც ჰქადაგობდა ოქროპირი, ყოვლად უდროო და შეუფერებელია სოფლის მკვიდრთათვისო. სამშობლოს სიყვარულიო, ამბობდა ის, სამარცხვინო და მიუტევებელი ცოდვაა იმათთვის, ვინაც ამ წმინდა, თან შეზრდილ გრძნობას ხმარობს მეზობელ ხალხის დასაჩაგვრად და მოსასპობადო. ხოლო, რამდენადაც ქართველობას არასოდეს, არც ახლა და არც ისტორიულს ხანებში, ეს გრძნობა მეზობელ ხალხთა საწინააღმდეგოდ არ უხმარია და არც მოიხმარს, იმოდენად ქართველი ხალხისათვის სამშობლოს სიყვარული სათაკილო არ არისო... ვერ დაასრულა ნიკიფორემ თვისი სიტყვა, როგორც გოგისა სწვდა ნიკიფორეს საკინძეში, ძალზე ჰკრა გულში და ჩააჩუმა.

— ამხანაგებო,—მიმართა გოგისამ შეკრებილ ხალხს,—აი, ამ ვაჟ-ბატონებზე გიამბობთ ოქროპირი, არ დაუჯეროთო ® თქვენ კი დაგიღიათ პირი და უსმენთ მას. ჯესტი, ამხანაგებო, ასეთ მოქადაგეს, ჯესტი ნიკიფორე არჩვაძეს! დეე, საიდამაც მოთრეულა, იქ იმოქმედოს ხალხის თვალის ასახვევადო, ჩვენ კი ჩვენის თვალით შევხედოთ აწინდელს მდგომარეობას და ჩვენის გონებით გავზომ-ავსწონოთ ყოველივე. მაშ ჯესტი ნიკიფორე არჩვაძეს! – დაიღრიალა, რაც ძალა შესწევდა, გოგისამ თუ არა, იმ წამსვე მივარდა რამოდენიმე ყმაწვილი ბიჭი ნიკიფორეს, სტაცეს მას ხელი და ჩიქჩიქით მიიყვანეს სოფლის სკოლაში, საცა არჩვაძე ცოლით, მოხუცი დედით და ორი მცირე წლოვანი ქალ-ვაჟით მოთავსებულიყო ერთს საშუალო ოთახში. მთელი სოფელი მიაწყდა სასწავლებლის ეზოს. აქა-იქ ხალხში გაისმოდა: ჯესტი, ჯესტი ნიკიფორესო.

— რას მერჩით, ძმებო, რა დამიშავებია თქვენთვის, ქრისტიანებო, რომ ასე ულმობელად მეპყრობით და ცოლ-შვილს შიშით მიკლავთ? მოხუცი დედა და მცირეწლოვანნი მაინც შეიბრალეთ, თუ მე არ გებრალებით, თქვე უგულოებო, თქვენა! შესძახა გაფითრებულმა ნიკიფორემ, რომელსაც კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხალხმა ლაპარაკის ნება არ მისცა და პასუხის მაგიერ კოტე დურგალმა და პავლე სონაძემ საჩქაროდ წაავლეს ქვებს ხელი და დაუშინეს შკოლის ფანჯრებს. ამათ მოჰყვნენ ვანო ნალბანდი და ათიოდე ახალგაზრდა ბიჭი და თვალის დახამხამებაზე მილეწ-მოლეწეს მთელი შკოლა თავისი ავეჯეულობით. ნიკიფორეს დედისა და ცოლ-შვილის კივილ-წივილი მთელს სოფელს იკლებდა. ისინი ჰფიქრობდნენ, ეს არის მოვიდა ჩვენი აღსასრული, მთელი სოფელი ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებულაო. ამასობაში გოგისამ საჩქაროთ გააბმევინა მეზობელ გლეხს ულელი ხარი ურემში და მიაყენა ნიკიფორეს ბინის წინ, რათა დაუყონებლივ ჩამჯდარიყო და გამგზავრებულიყო ის თვისის ოჯახით იქითკენ, საიდამაც მოსულიყო.

ვიდრე დაფეთებულ-აცახცახებული ოჯახობა დაალაგებდა ურემზე თავის საცოდავ ავლა-დიდებას, პავლე სონაძემ მოარბენინა დუქნიდამ ერთი ფურცელი დაჟანგებული ჟესტი და მოაბა ურმის ღერძს. ამ რიგად სიცილ-ხარხარით გააძევეს სოფლიდამ თავის ცოლ-შვილით ნიკიფორე, ის ხალხის მტერი, რომელიც აგერ შვიდი-რვა წელიწადია კვერეთის მოზარდ თაობას წერა-კითხვას ასწავლიდა...

**ივ. ელიაშვილი.**

# შეთქმულება

კოპეს **სევერო ტორელიდან.**

დრამა ოთხ მოქმედებად.

## მოქმედება მეოთხე

ბაღის კუთხე. (მარცხნივ შაჰის სასახლე. საზაფხულო სადგომია, გარედან ხმაურობა ისმის ხალხისა.)

**გამოსვლა პირველი.**

(გარედ ხმაურობა ძლიერდება. შემოდის გაბრაზებული შაჰი, უკან იბნ-ჰაი მოსდევს)

**შაჰი.** ჩემი ბრძანება არ აღასრულეს?
რა ამბავია, რას ხმაურობენ?
ნეტარ წუთებსა რად გვიწამლავენ?

**იბნ-ჰაი.** სთხოვენ თქვენ დიდებულებას, რომ გაანთავისუფლოთ ის ათი ტყვე, რომელიც გუშინ დაასჯატიმრეთ.

**შაჰი.** ეგ შეუძლებელია! დილაზედ თავები უნდა მოჰკვეთონ! წადი უბრძანე ჯარის უფროსს, ერთ საათში გაწმინდოს ქუჩები და თუ გაძალიანდნენ, ჯარს სროლის ნიშანი მისცეს. გესმის? ასეთი დრიანცელი არ მესიამოვნება. გესმის თუ არა? მოედანზე სულიერმა არსებამ არ გაიაროს! (იბნ-ჰაი გადის, მაგრამ მალე დაბრუნდება)

**გამოსვლა მეორე.**

**შაჰი და იბნ-ჰაი.**

**იბნ-ჰაი.** თქვენო დიდებულებავ.

**შაჰი.** ისევ აქა ხარ?

**იბნჰაი.** თქვენო დიდებულებავ! დაბლა თქვენი მეუღლე ხალხის შუა ჩადგა და ჯარის უფროსს გზა გადაუღობა. ხალხი წახალისდა, რა დაინახეს, რომ თქვენი მეუღლე მათ ესარჩლებოდა და უარესად მორთეს ღრიალი: აპატიეთ, აპატიეთო!

**შაჰი** (გაბრაზებული.) ოჰ დაწყევლილო! რა საქმე ჰქონდა იქ ჩემს მეუღლეს? იქნება, ჰგონია ვაპატიებ და სიცოცხლეს ვაჩუქებ დამნაშავეთ.

**იბნჰაი.** აგერ თვითონ აქ მობრძანდება!

**გამოსვლა მესამე.**

**ელა, შაჰი და იბნჰაი.**

**ელა.** ოჰ, მბრძანებელო! გთხოვ შეიწყნარო
ჩემი ვედრება!

**შაჰი.** საქმე რაშია?

**ელა.** მეტს გაგრძნობინებს იგი ყიჟინა,
ხალხის გულიდან ამონახეთქი.

**შაჰი,** იგი ყიჟინა მხოლოდ ზიზღსა
მგვრის.

**ელა.** ოჰ, შეიბრალე ხალხი მაშვრალი,
შენთან მოსულან სულ მცირე თხოვნით,
და ვიცი შენ მათ უარს არ ეტყვი.
ნუ მოჰკვეთ თავებს იმ ათის კაცსა,
რომელიც გუშინ თქვენ შეგიპყრიათ.
ვერ წარმოიდგენ, თუ რა ტანჯვაში
მათი მშობლები იმყოფებიან.
მათი გოდება თვით ზეცას სწვდება
და დედამიწა ცოდვით იწვება!
გთხოვ აპატიო იმათ სიკვდილი!

**შაჰი.** ელა! ნუღარ მთხოვ მათ პატიებას!
განთიადისას თავებს მოჰკვეთენ,
მათ შეურაცხყვეს წმიდათა-წმიდა...
ვფიცავ ალლაჰის ძლიერებასა,
აქ შენი თხოვნა ამაო არის.

**ელა.** ვიცი, ურჩობით გსურს გამაბრაზო,
მაგრამ ხუმრობის აწ დრო არ არის.
გთხოვ მოწყალება მოიღო მცირე.

**შაჰი.** ხა, ხა! ხუმრობა! (მწარედ იცინის. თან და თან ღვინოს ერევა.)

**ელა.** აბა, აქ მოდი და გადაჰხედე,
თუ რა საბრალოდ თმებსა იგლეჯენ.
ნუ თუ იმათი თხოვნა-მუდარა
და ცრემლი თვალით გადმონადვარი
გულს ვერ მოგილბობს? აბა უცქირე!
ჩემო მოვარველო! აი, ხომ ჰხედავ,
მუხლ-მოდრეკილი გემუდარები:
ნუ დასჯი ტყვეებს! იგმარე სისხლი!

**შაჰი.** არ შეიძლება!

**ელა.** მაშ ჩემს მუდარას არ შეასრულებ?

**შაჰი.** უმალ ალლაჰი რისხვას მომივლენს!
ბოროტ-მომქმედნი დაისჯებიან...
დიახ, დიახ, დაისჯებიან!..
(ელა ზეზე წამოდგება და დიდ ხანს უცქერს უკმაყოფილოდ, რომელშიაც ზიზღი და სიძულვილი ნათლად იხატება. შემდეგ გაბრაზებული საჩქაროდ გადის)

**შაჰი** (იბნ-ჰაის.) უბრძანე, ხალხი ძალით
გაჰფანტონ,

სულს ნუ მიშვოთავენ ყევა-ღრენითა! (იბნჰაი
თუ არ ვუჩვენე ძალა და სუსხი, | გადის)
შემდეგ თავზედაც დაგვასხდებიან,
ეს უმადურნი და საზიზღარნი!
ჩვენს წმიდათა-წმიდას შეურაცხყოფენ...

**გამოსვლა მეოთხე.**

(შემოდის დაუდ-ბეგ)

**შაჰი.** რისთვის მოსულხარ?

**დაუდ-ბეგ.** ფალავანდიშვილს თქვენი ნახვა
ჰსურთ!

**შაჰი.** სთხოვე მობრძანდეს! რა უნდა ამ
ტყუილად ის არ გაირჯებოდა. | დროს?

(შემოდის ფიდო ფალავანდიშვილი.)

**შაჰი.** ოჰ, გამარჯობა ჩემო მიმინო!
რას გაურჯიხარ შუაღამისას?

**ფიდო.** უპირველესად სალამს მოგიძღვნი
და დღეგრძელობას ვისურვებ თქვენსას,
შემდეგ გაუწყებ ამბავს, თუ როგორ...

**შაჰი.** (თავისთვის) ეხლა კი ვიცი რისთ-
ვის გარჯილა.
ოჰ ქართველებო, რა მელები ხართ!—
შორიდან იწყობ შენ ლაპარაკს,
მაგრამ კი გეტყვი, რომ სულ ამაოდ...
ვიცი, რაცა გსურს... მივხვდი, ძვირფასო!
არ შემიძლიან მათ ვაპატიო,
დამნაშავენი დაისჯებიან.

**ფიდო.** მე ეგ აზრადაც არც კი მომსვლია
და ან მაგ თხოვნით რად შეგაწუხებთ?
განთიადისას აღსრულდეს ნება!
აქ თქვენი სიტყვა კანონი არის.
მე სულ სხვა ამბის მოციქული ვარ
და განსაცდელი დიდი მოგელით!

**შაჰი.** რაო, რა სთქვი ეგ გაიმეორე!?

**ფიდო.** შეთქმულობაა თქვენ წინააღმდეგ.

**შაჰი.** (იძახის) ჰეი ვინა ხართ!

(შემორბიან მსახურნი)

მაშ კვლავ იბურვის ივერიის ცა?
ამხედრებულან ღრუბელთ ნაგლეჯნი?
დე ასე იყოს, მაგრამ იცოდნენ
მალე შეჰმუსრავს, აღარ დაინდობს
მრისხანე ქარი შაჰ-აბაზისა! (მსახურთ)
აქ დამიძახეთ ჩემს თანაშემწეთ და ჯარის უფ-
შენ კი განაგრძე... ვინ მეთაურობს | როსთ.
მაგ შეთქმულობას? სთქვი ყველაფერი!
და ჯეფიცები მაჰმადის ყურანს
ჯილდოდ მიიღებ ჩემგან სიმდიდრეს.
მე მოგანიჭებ დიდ უფლებასა,
ბინასა მოგცემ ჩემს სასახლეში.

**ფიდო.** მადლობა ღმერთსა, თქვენი წყა-
ისედაც დიდად მოვალეუდა მხდის, | ლობა
თქვენ გულუხვობას არ აქვს საზღვარი
და მეც ერთგულად გემსახურებით.

**შაჰი.** ვინ მეთაურობს მაგ შეთქმულებას?

**ფიდო,** დავითის შვილი, თავად სვიმონი.

**შაჰი.** ჰო ძლიერ კარგი, მადლობელი ვარ!
დღეს შენ ეს ქისა მიიღე ჩემგან
და ხვალაც ათას თუმანს დაგითვლი.
მიყვარს ერთგული მე ქვეშევრდომი
სხვა რაღა იცი, განაგრძე, ფიდო!
შეთქმულთა გვარი ჩამომითვალე.

**ფიდო.** ყურს არ გვიგდებდნენ... მე მე-

**შაჰი.** აქ მარტო ჩვენ ვართ! | შინიან...

**ფიდო!** (ჩუმად, მაგრამ მკაფიოდ)
სვიმონს მომხრენი ძლიერ ბევრი ჰყავს.
ყველგან დაგზავნა თვისი შიკრიკნი.
მოიმხრო ქართლი და მთების შვილნი.
კახეთის ხალხი უკვე ფეხზე სდგას.
აქედან მხოლოდ ნიშანს ელიან
და ყველა ერთად აჯანყდებიან.

**შაჰი.** ნიშანს ელიან.

**ფიდო.** უნდათ ქურდულად მოგკლან და
ნიშანი მისცენ არეულობის. | ამით
შემოვა ჯარი ქართლ-კახეთიდან
და განდევნიან ყველა სპარსელებს.
ჰსურთ აღიარონ თვისი სამშობლო
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა!

(შემოდის ჯარის უფროსი იმნ-ჰაი, დაუდ-
ბეგ და ამალა)

**შაჰი.** ოჰ საზიზღარნი! ჩქარა მითხარი
ყველას გვარები, ნუღარ აყოვნებ! (იბნჰაის)
შენ კი ჩასწერე.

**ფიდო.** სვიმონ მაჩაბელი, მათი მოთავე,
მამუკა ორბელიანი, ლევან ამირაჯიბი, გიორგი
ციციშვილი, ელიზბარ ერისთავი, ბერი ონო-
ფრე, სოლომონ ყიფიანი, ალექსანდრე ორბე-
ლიანი, დადიანი და მამუკა ციციშვილი.

**შაჰი.** სადა აქვთ ბინა?

**ფიდო.** ამაღამ ყველანი თავს მოიყრიან
თავად ელიზბარ ყიფიანთანა,
თათბირებენ, ვით იმოქმედონ

**შაჰი.** ნამდვილად იცი?

**ფიდო.** დიახ ნამდვილად.

**შაჰი.** (ჯარის უფროსს) მაშ აბა ჩქარა!
ჯარის გაცემით დაესხი თავსა!
ყველა შეიპყარ! თუ არ დაგნებდნენ,
სახლს ცეცხლი მიეც, ცოცხლები დასწვი.
შენც გაჰყევ თანა, გვალი უჩვენე.
ჰა, აბა, ჩქარა! (ყველანი გადიან, ფალავა-
ნდიშვილი წინ მიუძღვით)
გვლავ შეთქმულობა!
კიდევ ფრთასა ჰშლის, კიდევ ბობოქრობს
ამაყი სული ქართველ ხალხისა!
მაგრამ ამაოდ! მალე ჩავაქრობ!
როგორ ჰბედავენ ჩემთან ურჩობას?
შევიპყრობ, ყველას ფეხქვეშ გავსრესავ!
ურჩობენ, ვისთან? ხა, ხა, ხა, ხა, ხა...

შორს მჭვრეტელი ვარ... ტყუილად ურჩობთ...
ო საზიზღარნო... მიწის მტვრად გაქცევთ.
კვლავ შეთქმულობა... ხა, ხა, ხა, ხა...
(საზაფხულო კარავში შედის. ტახტზე წამოწვება. მთვარე ღრუბლებს ეფარება. ნელად ჰქუხს, შაჰი შფოთავს და დუდუნებს: შევიპყრობ, გავსრესავ, „შეთქმულობა!“ ჩავაქრობ... გავსრესავ... და შემდეგ ჩაეძინება. შორს მამლები ჰყივიან)

**გამოსვლა მეხუთე.**

შემოდის **ელა.**

ბოროტი სული ძილს მისცემია...
ჩუ! ხმა მოისმის... რაღაცას ამბობს...
სიზმარშიაც კი ხალხის სისხლსა ჰსვამს.
გულს შებრალება არ ეკარება.
ღირსეულ კაცსა ღმერთი ადრე ჰკლავს
და ბოროტი კი ხანგრძლივად ცოცხლობს.
ბოროტი არის ჩემი მეუღლე—
უბედ ვსთქვათ კურო და საყვარელი,
მაგრამა სცოცხლობს, სხვებს სიკვდილით სჯის.
ბავშვობიდანვე ვიყავ მე მშვიდი,
სიავეს, მტრობას ვერვინ დამწამებს,
მაგრამ დღეს რაღაც ხმა იდუმალი
ყურს ჩამჩურჩულებს: შური იძიე!
მან მომიწამლა ყმაწვილქალობა.
ადრე დააჭკნო გულს სიყვარული,
ვინც მე მიყვარდა, მას დამაშორა
და ძალით უმწე დამისაკუთრა.
მის ვნებათ ღელვის საგნად შევიქენ,
შემხუთა სული თავისუფალი
და დღეს იმედად რა დამრჩენია,
თუ არა ოდენ შურის-ძიება!
გავნთავისუფლდე ბასრ ბრჭყალებიდან.
მე იგი მიყვარს დიდი ხნიდანვე,
ამის მოწამე მაღლა ღმერთია!
მაშ რად არ ძალმიძს მასთან გავფრინდე;
მასთან ვიცხოვრო თავისუფალმა?
მაგრამ ვით შევძლო, დამონებულმა,
ვით ავასრულო წმინდა სურვილი,
ოდეს ხელფეხი დაბორკილი მაქვს
და გველ-ვეშაპი თვით მდარაჯობს
აი, ვინ არის ჩემი ბორკილი!
აგერ, ძილშიც კი აღარ ისვენებს,
იძახის: გავსრეს, არ დავინდობო!
ოჰ ღმერთო ჩემო, სულ სისხლი, სისხლი
და გოლგოთაზე კვალად წამება!
მტარვალო, ნუ თუ ვერ მოიოხე
სისხლის სმით გული გაუმაძღარი?

როს გულის სატრფოს შევხვდი მარტოკა
და გამოუტქმელი ნაზ სიყვარულში,
სრულად მომენდო, ხელს არა მკრავდა,
მაგრამ პირბადე რა გადვიყარე,
მან მომაძახა შეძრწუნებულმა:
ჩვენი მჩაგვრელის საყვარელოო!
ოჰ, ნეტავ იმ დროს იქ მომკვდარვიყავ
და ეგ სიტყვები არ გამეგონა!
მაგრამ მიყვარს მე და მისი სიტყვა,
თუნდ ავიც იყოს, არ მეწყინება.
მსურს ბრჭყალებიდან თავი დავიხსნა
და თუნდ მოკლე ხნით, მსურს მასთან შევსვა
წმინდა ცხოვრების ტკბილი ნექტარი.
(ბაღის სიღრმეში მიდის და ბორცვზე კუნძს დაეყრდნობა. შემოდის სვიმონი.)

**გამოსვლა მეექვსე.**

**სვიმონ.** დაჰკრა საათმა... უნდა აღსრულდეს,
ფიცი მიველი ჩემს მეგობრებსა!
სადც უნდა შემხვდეს, თუნდ თვის საწოლში,
თუნდ ლხინში მყოფი, ცოდვით აღვსილი,—
უნდა ბოროტი გული გავგმირო,
სისხლში შევსვარო ბასრი მახვილი,
და მოხუც მამას ავხდი სირცხვილსა!
მაგრამ მიზანსა თუ ვუღალატე
და აღვასრულე ღედის სურვილი,
მაშინ სახელსა დიდად საზაროს
დავიმსახურებ მოღალატისას.
რა პასუხს გავცემ ჩემს მეგობართა?
ან ჩემს სამშობლოს ვით უღალატო?
მაშ მოვკლა მამა? ოჰ ღმერთო ჩემო!
შაჰ-აბაზი ხომ ბოროტი იყო,
ავაზაკი და სისხლისა მსმელი!
ხომ მისი სისხლი მიდგა ძარღვებში,
მაშ მეც იმასა რად არა ვგევარ?
რად ვუფრთხილდები უმანკოებას,
რომელიც ჩემს გულს თან დაჰყოლია,
და ცოდვის აჩრდილს გარს არ მოვბერავ?
მანაოხრა ჩემი სამშობლო,
დედას აჰხადა ულვთოდ ნამუსი,
რომლის ნაყოფი მე თვით შევიქენ,—
მაინც ვერ ვბედავ და რყევაში ვარ,
ვით მოვკლა მამა და მასთან მტერი?

**გამოსვლა მეშვიდე.**

**ელა და სვიმონ.**

**ელა.** (ეს სცენა ჩუმად) ვიღაცა მზვერავს.
ვინა ხარ მანდა?

**სვიმონ.** ვისაც უბრძანე შენ თვით აქ მოსვლას!

**ელა.** ძვირფასო სვიმონ!

(ერთმანეთს ჩაეკონებიან. დიდი სიჩუმე)

**სვიმონ** მითხარ, სად არის ძვირფასი შაჰი?

**ელა** შაჰი რად გინდა? აგერ იქ სძინავს...
აგერ პირდაპირ!

**სვიმონ.** ელა, შენ წადი, მარტო დამტოვე.

**ელა.** რადა, ძვირფასო! შენთან ყოფნა
მსურს.

**სვიმონ**. აწ საზარელი რამ უნდა მოხდეს.
დე, მოწმედ მარტო ეს ღამე იყოს.

**ელა**. მივხვდი! არა, თავს ვერ დაგანებებ!
შენთან სიკვდილის არა მაქვს შიში.

**სვიმონ**. ის უნდა მოკვდეს ჩემის მახვი-
ლით.

**ელა**, ის!,. რომ გაიგონონ? დაიღუპები!

**სვიმონ**. ფიცი მივეცი!

(აივანზე მიდის და შაჰს უახლოვდება.
საშინლად იელვებს და იქუხებს. შაჰს გა-
მოეღვიძება.)

**სვიმონ**! აჰა გრიალმა გამოგაღვიძა,
რომ სამუდამოდ კვლავ დაიძინო!

**შაჰი**. ვინ ხარ თავხედო!

**სვიმონ**. გავსწორდეთ, მამავ!

**შაჰი**. ჭაბუკო, ეგ ვინ გაგაბედვინა?

**სვიმონ**. მე ყველაფერი გაგებული მაქვს.
დაჰკრა საათმა შურისძიების, (ხანჯალს იძ-

**შაჰი**. (ყვირის) მიშველეთ! ; რობს)

**სვიმონ**. ჩუმად! აწ ჩემ ხელში ხარ!

(ვედრებით, მაგრამ ცბიერად)

**შაჰი**. მაშ გამიგონე, ჭოი ჭაბუკო!

**სვიმონ**. მითხარ შვილოთქო!
თუ ცოტად მაინც ვგევარ მამაჩემს,
შენ უნდა მოჰკვდე! ვერავინ გიხსნის განსაც-
შენი სიკვდილით ჩემსა მამულსა | დელისკან!
თავისუფლება დაუბრუნდება!

(შაჰი თავის დასაცველად იარაღს იძ-
რობს. ამ დროს უკანიდან ელა ხანჯალს
ჩასცემს. შაჰი სისხლში მოსვრილი, აი-
ვანზე დაემხობა. დიდი სიჩუმე)

**სვიმონ**. ელა!

**ელა**. შენი მამული განთავისუფლდა!
წადი, აუწყე მრავალ-ტანჯულ ხალხს!
ერთად წავიდეთ!
(გაქცევას აპირობენ. ამ დროს შემოდიან:
დაუდ-ბეგ, იბნ-ჰაი, ალა-უსუფ, ჯარის
უფროსი და ფალავანდიშვილი)

**გამოსვლა მერვე.**

ელა, სვიმონ, ჯარის უფროსი, ფალა-
ვანდიშვილი და სხვები,

**იბნჰაი**. გული მეორედ ამოგგლიჯეთ სა-
ქართველოს.
ყველა შეთქმულნი შევიპყარით, მაგრამ მთავა
ვერსად ვპოვეთ, გაგვეპარა მოხერხებულად.

(რა დაინახავენ აივანზე შაჰს, შეკრ-
თებიან)

დალატი!
სისხლში მოსვრილი არის!
შაჰი მოუკლავთ!
(რა დაინახავს სვიმონს)
შეიპყარით ეს ავაზაკი!

**ელა**. და მასთან ერთად მეც შემიპყარით.
მონაწილე ვარ ამ მკვლელობაში.

(შეიპყრობენ. სვიმონი რა შეჰხედავს ფა-
ლავანდიშვილს, მწარედ ამოიგმინავს, მის-
კენ გაიწევს შესაბრძოლად, მაგრამ არ
გაუშვებენ.)

**სვიმონ**. (ფალავანდიშვილს)
იუდავ! ხალხის ცოდო შენ ზიდე!
საქართველოს მზე შენ დააბნელე
ამომავალი და სხივოსანი!
დე, შვილი-შვილთაც ზიზღით გიგონონ
გრისხონ, დაგწყევლონ, ოდეს გახსენონ!..

**ა. შანშიაშვილი.**

**ფ ა რ დ ა.**

## ინგლისის სახელმწიფო სამართალის საფუძველნი.

**თხზ. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. ა. დაისისა.**

ავიღოთ იურისტები და რასაკვირველია, ყოველ უწინარეს ბლექსტონი.

**I. იურისტები და კონს-ტიტუცია. ფიქციები.** მის „კომენტარიებში“ საკონსტიტუციო სამართლის შესახებ ვერ შეხვდებით ვერც ერთ სიტყვას იმ საგნების შესახებ, რომელნიც საკონსტ. სამართალს შეეხება, ბლექსტონი ლაპარაკობს უმთავრესად იმ წიგნში, რომელსაც სათაურად აქვს: „კერძო პირთა უფლებანი“. ამ წიგნში, სხვათა შორის, ბლექსტონი სწერს პარლამენტის შესახებ, მეფისა და მის ტიტულებისა, ბატონებისა და მოსამსახურეების, ცოლ-ქმრის, მშობლების შესახებ. დაუოფა საინტერესოა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ გამოხატავს ვერც შინაარს და ვერც საზღვრებს საკონსტიტუციო სამართლისას, თუმცა ამას კიდე არა უშავს რა ამ წიგნში გამოიხატება ჩვენის მართვა-გამგეობის სისტემის დიდი ცოდნა. მის ნამდვილ ნაკლულევანებას კი შეადგენს ის დახლართულობა ენისა და აზრისა, რომელიც შეაქვს საკონსტიტუციო სამართლის საგანში ბლექსტონის ჩვეულებას, ახალ დაწესებულებათა დაძველებულისა და შეუფერებელ სახელებით და ტერმინებით დასახელება და დახასიათება. ამ ჩვეულებასვე ადგნენ ყველა იმ დროის იურისტები. ბლექსტონი ისე შორს მიდის, რომ თანამედროვე კონსტიტუციონურ მეფეს იმდენ უფლებას აწერს, რამდენიც, შეიძლება, ვილჰელმ დამპყრობელს არ ჰქონდა.

„ჩვენ განვიხილავთ შემდეგ“,—სწერს ბლექსტონი,—მეფის უფლებათა იმ ნაწილს, რომლითაც აღჭურვილია ჩვენი ხელმწიფე, უსრულესი და უკვდავი თავის ხელმწიფურს ღირსებაში, და რომელთ სისრულეში მოყვანა შეად-

გენს სამართველო უფლებას სახელწიფოში. ბრიტანიის კონსტიტუციამ ბრძნულად განსაკა და ერთ ადამიანს ავუთვნა ეს უფლება ერთიანობისა, ძალისა და სისწრაფის დასაცველად. ეს უცდება რომ რამდენიმეს შორის იყოს განაწილებული, რამდენისამე ნებაზე იქნებოდა დამოკიდებული, ხოლო ბევრის ნება, თუ ისინი თანახმად არ მოქმედობენ, მთავრობის სისუსტეს ჰქმნის; ხოლო იმ ნებათა გაერთიანება იმდენს დროს მოითხოვს, რომ შეუძლებელია იმდენ ხანს სახელმწიფო საჭიროებანი დაუკმაყოფილებელი დარჩეს: იმიტომ ინგლისის მეფე— უმთავრესი და ერთად-ერთი მოხელეც არის; ყველა დანარჩენნი მისი ხელქვეითნი არიან და მის ბრძანებას ასრულებენ ისე, როგორც რომის სახელმწიფოში ყველა ძველ მოხელეთა უფლებამ მოიყარა თავი ახალ «იმპერატორის» ხელში: ასე რომ, როგორც გრავინა ამბობს: in eju unius persona veteris reipublicae vis majestas per cumulatas magistratum potestates exprimebatur.

ამ პატარა ნაკვეთის აზრი მეტად ნათელია და თითქმის იგივეა, მხოლოდ უფრო მოკლედ, ნათქვამი ბლექსტონის წიგნის სტივენის უკანასკნელ გამოცემაში.

ამ ნაკვეთს ერთად-ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ: ყველაფერი, რაც მასში ნათქვამია, სინამდვილეს ეწინააღმდეგება: მართვა-გამგეობის უფლება ინგლისში იმ დაწესებულების ხელშია ნამდვილად, რომელსაც კაბინეტს უწოდებენ: თუ კი არის სამეფოში ისეთი პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მთელი სახელმწიფო უფლება, ეს პირი მეფე კი არ არის, არამედ ამ დაწესებულების თავმჯდომარე-—პირველი მინისტრი ვერც იმით გავამართლებთ ბლექსტონს, რომ მის მიერ დახატული ძლიერება მეფისა მის დროსაც ყოფილიყოს! მართალია, გიორგი მესამეს მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე მის მემკვიდრეთ არგუნა ბედმა, მაგრამ უაზრობა იქნება ვსთქვათ, რომ ზემო მოყვანილი ნაკვეთი მის ნამდვილ მდგომარეობას გვიხატავდეს. თვით ბლექსტონმაც იცოდა, რომ მისი აზრი სინამდვილეს მოკლებული იყო და ასის წლის განმავლობაში მის აზრის შეცდომილებას ბევრი რამ კი არ მომატებია. რაც შეეხება შინაგან საქმეთა,—სწერს ბლექსტონი შემდეგ, მეფეს უყურებენ, როგორც სამართლიანობის წყაროს და სახელმწიფოს სიმშვიდის დამცველს... ამიტომ მხოლოდ მას აქვს უფლება დაარსოს სასამართლოები; თუმცა კონსტიტუციამ მას ჩააბარა მართვა-გამგეობის მთელი უფლება, მაგრამ შეუძლებელია და არც საკადრისია, რომ პირადად მეფემ შეასრულოს ყველაფერი. საჭირო იყო სასამართლოების გაჩენა, რათა მეფეს საქმე გაადვილებოდა. მაგრამ ამასთანავე საჭირო იყო, რათა სასამართლოები მისის ბრძანებით დაარსებულიყვნენ, რადგან ყველა სასამართლოების უფლება წარმოსდგება გვირგვინოსანისაგან; მათი განაჩენი დგება მეფის სახელით, მისი ბეჭედი აზის ყოველ გადაწყვეტილებას და განაჩენის ამსრულებელნიც მეფისავე— მოხელენი არიან.

აქ ისევ იწყება მოგონება ანუ იურიდიული ფიქცია. არც მეფე და არც სამმართველო უფლების მქონე პირი არავითარი საქმე არ აქვთ სასამართლოების დაარსებასთან.

მთელს კაბინეტს ჭკუაზე შემცდარად გამოვაცხადებდით და მართალიც ვიქნებოდით, ხვალინდელ გაზეთში რომ სტატუტების წინააღმდეგი ახალ სააპელაციო სასამართლოს დაარსების შესახებ მეფის ბძანება გამოეცხადებს. საჭიროა დავაკვირდეთ, თუ რა ვნება მოუტანა სამართლის შესწავლას ბლექსტონის და ნაკლებად ცნობილ კონსტიტუციონალისტების შეუფერებელ სახელების ხმარების ჩვეულებამ. ერთად-ერთი და უმთავრესი შეცდომა ის კი არ არის, რომ გვირგვინის უფლებას აზვიადებენ. ასეთ გაზვიადებას მკითხველი შეურიგდებოდა ისე, როგორც ვურიგდებით ჩვენ პატრიოტიზმის ანუ ზრდილობის გადამეტებულ გამოხატვას საზოგადოებაში. საქმე ის არის, რომ უადგილო და შეუფერებელი სახელები და წინადადებანი აბნელებენ და ფარავენ მეფის და მთავრობის უფლებათა ნამდვილ ხასიათს. მხოლოდ პატარა ბავშვებს აქვს წარმოდგენილი, რასაკვირველია, რომ მეფე გვირგვინით თავზე, ზის ვესტმინსტერის ტახტზე და პირადად უჩენს სამართალს თავის ქვეშევრდომთ. მაგრამ ბევრის განათლებულის აზრით, რომ ინგლისის მეფე მეფობს და მართვაში არავითარ მონაწილეობას არ იღებსო, ისევე შემცდარია, როგორც ის აზრი, ვითომც დედოფალი ვიქტორია ხანდისხან მოსამართლეობდეს, ე. წ. სამეფო სასამართლოებში. ახირებულია, რომ ინგლისელთა უმრავლესობა მიხვედრას სცდილობს მხოლოდ იმისას, თუ რამდენად დიდია ის უფლება, რომლითაც აღჭურვილია ჩვენს დროს გვირგვინი, პირველი მინისტრი და სხვა წარჩინებული მოხელე. ბლექსტონმა და მის მსგავსმა მწერლებმა ისეთ წინადადებათა ხმარებას მიგვაჩვიეს, რომელნიც სინამდვილეს ვერ გამოხატავენ, და ეხლა ნამდვილად ვერ ვიტყვით, რამდენად შეუფერებიან ფაქტიური საკონსტიტუციო მართვა-გამგეობას და მისი გამომხატველი ცოტად თუ ბევრად ხელოვნური ფრაზეოლოგია. მაგალითად, მეფე ნიშნავს სამინისტროსო, რომ ვსთქვათ არ იქნება მართალი; აგრეთვე შემცდარი თქმა იქნება, რომ მეფე აარსებს სასამართლოებს, მაგრამ ამ ორ შემცდარ წინადადებას სულ სხვა და სხვა დამოკიდებულება აქვს სინამდვილესთან. გარდა ამისა, იმ უფლებათა (powevs) შორის, რომელსაც გვირგვინს აწერენ, ზოგიერთი მართლაც ეკუთვნის მთავრობას, მაშინ როდესაც ზოგი სხვა ნამდვილში არ ეკუთვნის არც მეფეს და არც სამინისტროს. ბოლოს გამოდის, რომ როგორც მეფის მდგომარეობა, ისე მთავრობის ნამდვილი უფლება დაფარულია მეფის იმ ფანტასტიურის ყოველ შემძლებელობით ანუ სრულუფლებობით, რომელსაც მას აწერენ, და ამიტომ ბლექსტონის პირველის წიგნის წამკითხავი ძლივს შეიძლებს გამოარკვიოს ამ წიგნში იურიდიული ფაქტები შეუფერებელ სახელწოდებათა ხმარების გამოისობით.

ეხლა იურისტების ფორმალიზმისაგან გადავიდეთ კონსტიტუციის ისტორიკოსების მართლმთქმელობაზე.

**II ისტორიკოსების შეხედულება კონსტიტუციაზე.—მისი ჩამორჩენილობა.**

სტუდენტი ან პროფესორი, რომელიც საკონსტიტუციო სამართალს სწავლულობს, დაინახავს, რომ კარს არტყია გამოჩენილ მასწავლებელთა ჯგუფი. მას შეუძლია ისარგებლოს მიუდგო-

მელ ჰალლამის ნაწერებით, შეუძლია ოქსფორდის ეპისკოპოზის დაუშრეტელ ცოდნას მიჰმართოს, თომს მეის თხზულებებში აღმოაჩენს დაუსრულებელ საპარლამენტო გამოცდილებას და ფრიმენის «ინგლისურ კონსტიტუციის განვითარებაში»---ძლიერსა და ღრმა გონებას და ამასთან ისეთს გამოკვლევათ, რომელთაც პოლემიკური ხასიათი აქვს. ავიღოთ ეს უკანასკნელი თხზულება, როგორც საუცხოვო ნიმუში საკონსტიტუციო ისტორიისა. იგი ყველასათვის ცნობილია და მის ყველასაგან აღიარებულ ღირსებათა შესახებ, მის სიმარტივისა, გარკვეულობისა, ძალის შესახებ, ბევრი ლაპარაკი მეტიცაა და უადგილოც ისეთ მსმენელთ წინაშე, რომელთაც ეს თხზულება უნდა იცოდნენ პირველ სიტყვიდგან უკანასკნელამდე. განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ერთი მისი თვისება: ფრიმენს შესანიშნავი ნიჭი აქვს ყოველ საკამათო კითხვის ნათლად და გასაგებად გამორკვევისა. ყოველი მისი მკითხველი სხვა და სხვა კითხვის შესახებ ყოველთვის რაიმე გარკვეულ დასკვნას აღგება, ხან ეთანხმება მწერალს და ხან წინააღმდეგ რწმენას აღგება. უკანასკნელ შემთხვევაში თქვენ იძულებული ხართ თქვენის აზრის დასამტკიცებლად საბუთიანი მოსაზრებანი მოიყვანოთ; ამრიგად, თუ არ ეთანხმებით და გონიერად ეწინააღმდეგებით მას, იმდენსავე იძენთ ცოდნის მხრით, რამდენსაც შეიძენდით იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირ დაეთანხმებოდით მის შეხედულებათ. მაშ ავიღოთ «ინგლისის კონსტიტუციის განვითარება», როგორც საუკეთესო ნიმუში ისტორიკოსის შეხედულობისა კონსტიტუციაზე. რა უნდა ისწავლოს მის თხზულებიდგან იურისტმა, რომელსაც სამართლის შესწავლა აქვს საგნადო, იკითხავთ: ამის პასუხს მოგვცემს რამდენიმე ციტატი მის თხზულების პირველ ორის თავის მშვენიერისა და დიდის სათაურიდგან.

აი მათი შინაარსი:

Landesgemeinden ურისა და აპპენცელისა. მათი მნიშვნელობა ინგლისის კონსტიტუციისათვის. პოლიტიკურ წყობილების ელემენტები საერთო მთელ ტევტონურ რასისათვის. უძველეს დროიდანვე არსებული ელემენტები; მონარქიულ- არისტოკრატული და დემოკრატიული. სამი კლასი: კეთილშობილნი, თავისუფალნი და მონები. მონობის დიდი გავრცელებულობა. ტევტონების დაწესებულებები საერთოა მთელს არიელ ოჯახობისათვის. ჰომიროსის მოწმობა. გერმანელების ყრილობათა აღწერა ტაციტისაგან. ინგლისის დაწესებულებათა განვითარების განუწყვეტლობა. ინგლისის დაწესებულებათა განვითარების განუწყვეტელობა. ინგლისის ეროვნების დამყარება. ტევტონების დაწესებულებანი. გადმოტანილი დიდ ბრიტანიაში, ინგლისელ დამპყრობელთაგან, დაპყრობათა და გამარჯვებათა გავლენა გამარჯვებულებზე. მონობის შესაძლო გავრცელება. Earl· და Churls მეფურ უფლების განვითარება. ამ უფლების ხასიათი. მეფურ ღირსების რელიგიური ხასიათი. დაუხსომელ დროის გარჩევა მეფეთა და ელდორმენთა შორის... ინგლისის კონსტიტუციის თანდათანი განვითარება. ახალ კანონის მოთხოვნათ სიიშვიათე. პრეცედენტების დიდი მნიშვნელობა. ახალის კანონმდებლობის დაბრუნება ძველის პრინციპებისადმი. ძველ ეროვნულ ყრილობათა რიცხვოვანობის შემცირება. უიტენაგემოტია.—გემოტეში ნორმანთა გამარჯვების შემდგომ. მეფის უფლება ყრილობათა მოწოდებისა. სიკვდილამდე პერობა. ერობათა პალატის გაჩენა. საფრანგეთისა და ინგლისის ეროვნულ ყრილობათა შედარება. ინგლისის და საფრანგეთის ისტორიის შესახებ საზოგადოდ ცალკე პირთ მოღვაწეობის გავლენა მოვლენათა მსვლელობაზე, სიმონ-დე-მონფორი. ედუარდ I; მის მეფობის დროს სრულდება ინგლისის კონსტიტუციის განვითარება. შემდეგ ცვლილებათა ხასიათი. ინგლისის და კონტინენტის კანონმდებლობათა განსხვავება...

ყველაფერი ეს მეტად საყურადღებოა, აღსავსეა მეცნიერულის განმარტებით და ისტორიულის მნიშვნელობით და სწორედ შეეფერება ისეთს წიგნს, რომელსაც კონსტიტუციის „განვითარება“ აქვს საგნად; მაგრამ რაც შეეხება საკონსტიტუციო სამართალს, ურის Landesgemeinden, ჰომიროსის მოწმობა, ელდორმენებს, უიტენაგემოტის წესი და სხვა მრავალი საყურადღებო რამ: ყველა ეს ისეთი ფაქტებია, რომელთა მნიშვნელობა მოძველებულია. არავინ კი არ გაიფიქროს, რომ მე ამით უარვყოფდე კავშირს ისტორიასა და სამართალს შორის. ჩვენს დროს უკეთესია ურწმუნო გიწოდონ ან ქურდობა შემოგწამონ, ვიდრე გონების არა საკმარისი «ისტორიული» მიდრეკილება შეგამჩნიონ ან შეგატყონ, რომ ისტორიულ მეთოდის უდიდეს მნიშვნელობას ეჭვის თვალით უყურებთ. მაგრამ უშიშრად შეიძლება ითქვას, რომ იმგვარ საკონსტიტუციო ისტორიას, რომელსაც შეადგენს ძველ ინგლისურ დაწესებულებათა გამოკვლევა, პირდაპირი გავლენა არ აქვს საკონსტიტუციო სამართალს კანონებზე (rules) იმ მხრით, რა მხრითაც ეს კანონები შეადგენს იურიდიულ განმარტების საგანს. დიდის ყურადღებით შეგვიძლიან ვისწავლოთ უიტენაგემოტის შესახებ ყველაფერი, რაც გამოკვლეილი, და მეტადრე, რაც არის ჯერ გამოკვლეული. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ სიძველენი და სამართალი -- სულ სხვა-და-სხვაა, და რომ გამოცდილი იურისტი არ არის ვალდებული იცოდეს, რა კანონები იყო გუშინ, და უფრო ნაკლებად—როგორი კანონები იყო ასის წლის წინად ან როგორი იქნება ხვალ; მისი საქმეა მხოლოდ გამოარკვიოს და განმარტოს ის პრინციპები, რომელიც დღეს 1900 წ., ვიქტორია, მეფობის დროს არსებობს ინგლისში. ამისათვის სრულებით მეტია ურის Landelgemeinden'-ის ხასიათის ცოდნა ან უიტენამოტის წერწყობილების გაგება (თუ ეგ შესაძლებელია). იურისტისათვის ყველა ეს ისეთს სიძველეს შეადგენს, რომელიც იმდენსავე სინათლეს ჰფენს შეერთებულ შტატების კონსტიტუციას, რამდენსაც ინგლისისას, ე. ი. იურიდიულის მხრით, არც ერთსა, და არც მეორეს არ ჰფენს ნათელს.

ივ. ზ—შვილი.

რედაქტ.-გამომცემელი: პეტ. სურგულაძე.